| სწავლის უნარი | მაგისტრს შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, ავლენს სწავლის პროცესის თავისებურების გაცნობიერებისა და დაგეგმვის მაღალ დონეს.<br>სწავლის პროცესის დროს გამოყენებული მეთოდიკა უვითარებს სტუდენტს სისტემური ანალიზის უნარს, აჩვევს რეგულარულ მუშაობას როგორც სახელმძღვანელოებთან (ქართულ და უცხოურ ენებზე), ასევე პროფესორ-მასწავლებლებთან და ჯგუფთან. | მაგისტრს აქვს დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით პროფესიული ზრდისკენ სწრაფვა, რაც გულისხმობს, როგორც პრაქტიკული გამოცდილების გაღრმავებას, ასევე სამეცნიერო საქმიანობის წარმოებას. აქვს სახელმწიფო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების, სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური სიახლეების და უახლესი მეცნიერული მიღწევების მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი. შეუძლია დამოუკიდებლად გაიფართოვოს ცოდნა საჯარო ადმინისტრირების სფეროში მიმდინარე სიახლეებზე დაყრდნობით. საჯარო მმართველობის მაგისტრს შეუძლია სწავლა განაგრძოს სადოქტორო პროგრამაზე და დაკავდეს აკადემიური საქმიანობით. |
| ღირებულებები | მაგისტრს უვითარდება ღირებულებები, რომლებიც ეფუძნება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ლიბერალურ პრინციპებს; საკუთარი ქვეყნის ინტერესებსა და ასევე სხვა ერებისა და რელიგიური ჯგუფების მიმართ პატივისცემას; საკუთარი პოზიციისადმი პრინციპულ მიდგომასთან ერთად სხვისი აზრისადმი პატივისცემასა და საღ დამოკიდებულებას. ანუ, მაგისტრს მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული საკუთარი ღირებულებათა სისტემა და აქვს უნარი შეაფასოს და ადეკვატურად აღიქვას სხვათა ღირებულებათა სისტემა, გაიზიაროს და პროფესიული საქმიანობის ეთიკის ფარგლებში | მაგისტრი იცნობს საჯარო სამსახურის ეთიკას, აქვს ეთიკური გადაწყვეტილებების მიღების უნარი და აღჭურვილია სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობით. მაგისტრი ითვისებს პროფესიულ სიტუაციებში ეთიკური გადაწყვეტილების მიღების, ეთიკური დილემის დროს ობიექტური მსჯელობისა და ანალიზის უნარს.<br>მაგისტრი სამეცნიერო თუ პრაქტიკულ საქმიანობებში ითვალისწინებს საზოგადოებრივ ინტერესებსა და ღირებულებებს. საქმიანობისას იგი აცნობიერებს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორების თავისებურებებს და გადაწყვეტილების მიღებისას ეყრდნობა დემოკრატიულ ფასეულობებს. სრულად აცნობიერებს საკუთარ თავზე აღებულ პასუხისმგებლობას, მოქმედებს |

| | | |
|---|---|---|
| | დაიცვას ორივე მხარის უფლებები. ის აგრეთვე იცნობს და აფასებს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს. მაგისტრს გააჩნია განსხვავებისა და კულტირული მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის უნარი, აქვს სოციალური პასუხისმგებლობითა და სამოქალაქო თვითშენებით მოქმედების უნარი. სრულიად გაცნობიერებული აქვს თანაბარი შესაძლებლობებისა და გენდერული საკითხების მნიშვნელობა. | კეთილსინდისიერად და ორიენტირებულია წარმოდგენილ პირთა ინტერესების დაცვაზე; საჭიროების შემთხვევაში, წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების ფორმირებაში. |

| | ცოდნა/გაცნობიერება | პრაქტიკაში გამოყენება | დასკვნის უნარი | კომუნიკაცია უნარი | სწავლის უნარი | ღირებულებები |
|---|---|---|---|---|---|---|
| სახელმწიფო მმართველობის საფუძვლები | ✓ | ✓ | ✓ | | ✓ | ✓ |
| სამართლის საფუძვლები/ადმინისტრაციული სამართალი | ✓ | ✓ | ✓ | | | |
| ორგანიზაციული მენეჯმენტი | ✓ | ✓ | ✓ | | | ✓ |
| პროექტის მართვა | ✓ | ✓ | | | | |
| ადამიანური რესურსების მართვა | ✓ | ✓ | | ✓ | | |
| ორგანიზაციული კომუნიკაცია | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | | |
| ლიდერობა | | ✓ | | ✓ | ✓ | |
| ეკონომიკის პრინციპები | ✓ | ✓ | ✓ | | | |
| საჯარო ფინანსები/საგადასახადო პოლიტიკა | ✓ | ✓ | ✓ | | | |
| კულტურული მემკვიდრეობა | ✓ | | ✓ | ✓ | ✓ | ✓ |
| საჯარო გამოსვლები/პრეზენტაციის უნარები | ✓ | | ✓ | ✓ | ✓ | ✓ |
| კვლევის მეთოდები/კვლევის დიზაინი | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | |
| სტატისტიკა | ✓ | ✓ | ✓ | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლიტიკის ანალიზი | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ |
| ადგილობრივი თვითმმართველობა | ✓ | | ✓ | ✓ | ✓ | ✓ |
| ურბანული განვითარება და პოლიტიკა | ✓ | | ✓ | ✓ | ✓ | ✓ |
| ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება | ✓ | ✓ | ✓ | | ✓ | |
| შემაჯამებელი გამოცდა | | ✓ | | ✓ | | |
| სასწავლო პრაქტიკა | ✓ | | ✓ | | ✓ | |
| სამაგისტრო ნაშრომი | | ✓ | | ✓ | ✓ | |

<u>სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:</u>

სწავლის შედეგების მისაღწევად ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამა იყენებს სხვადასხვა მეთოდს სტუდენტთათვის სასურველი კომპეტენციების გამოსამუშავებლად. ყოველი კურსი მიმდინარეობს ლექცია/სემინარის ფორმატით, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინტერაქტივს. საგნების უმრავლესობა მოიცავს სწავლების ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა პრეზენტაციებისა და ანალიტიკური ნაშრომების წარდგენა, რაც სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის აუცილებლობას ითვალისწინებს. გამოყენებულია ჯგუფური მუშაობის პრინციპიც, რასაც იმიტირებული მერის არჩევნები, საპარლამენტო დებატები და ჯგუფური პროექტების განხორციელება უწყობს ხელს. მესამე სემესტრის დასაწყისში სტუდენტები წერენ შემაჯამებელ გამოცდას.
სავალდებულო სასწავლო პრაქტიკა, რომლის ხელშეწყობაც ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის სტუდენტებისთვის ხორციელდება, აძლევს მათ საშუალებას სწავლისას მიღებული ცოდნა პრაქტიკაში გამოყენონ. სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა კვლევით კომპონენტს, ყოველი სტუდენტისთვის სავალდებულოა სადიპლომო თემაზე მუშაობა და მისი დაცვა, რაც მაგისტრანტს აძლევს კვლევის სათანადო დონეზე ჩატარებისა და კომუნიკაციის ცოდნასა და უნარ-ჩვევებს.

<u>დასაქმების სფერო:</u>

ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ ეფექტურად იმუშაონ როგორც ადგილობრივ, ასევე ცენტრალურ მმართველობის ორგანოებსა და არასამთავრობო სექტორში.

<u>სტუდენტების ცოდნის შეფასების სისტემა:</u>

ადგილობრივი მმართველობის სამაგისტრო პროგრამას აქვს სტუდენტების ცოდნის შეფასების მრავალკომპონენტიანი სისტემა, რაც განპირობებულია შუალედური კომპონენტებისა და დასკვნითი გამოცდის ქულებით. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოში შეფასების ცენტრალური სისტემით დადგენილ ხუთი სახის დადებით შეფასებას:

A ფრიადი – 91-100%
B ძალიან კარგი – 81-90%
C კარგი – 71 – 80%
D დამაკმაყოფილებელი – 61 – 70%
E საკმარისი - 51 – 60%
FX ვერ ჩააბარა - 41 – 50%
F ჩაიჭრა - 40% და ნაკლები

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის შემადგენელი ნაწილია საშუალო მაჩვენებლის (GPA) გამოანგარიშება, რომლის გადალახვის მინიმალურ ზღვარს წარმოადგენს 2.5 ქულა:

A = 4
B = 3, 2
C = 2, 4
D = 1, 6
E = 0, 8

<u>ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ</u>

ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამის აკადემიური პერსონალი და მოწვეული პროფესურა გამოირჩევა მაღალი კვალიფიკაციით, რაც შეიძლება დადგინდეს მათი აკადემიური ხარისხით, მიღებული განათლებით და პროფესიული გამოცდილებით. პრაქტიკოსი ადგილობრივი ექსპერტები იყენებენ უახლეს თეორიულ მასალას, სწავლების დასავლურ მეთოდიკას და საერთაშორისო გამოცდილებას.

## სასწავლო გეგმა:

| საგნის კოდები | საგანი | საგნის სტატუსი | საკონტაქტო საათების რაოდენობა | კრედიტების რაოდენობა | კრედიტების განაწილება | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | სემესტრები | | | |
| | | | | | I | II | III | IV |
| PP501 | სახელმწიფო მმართველობის საფუძვლები | ძირითადი | საკონტაქტო საათი 36<br>ინდივიდუალური მუშაობა 90 საათი | 5 | √ | | | |
| Law506 | სამართლის საფუძვლები/ადმინისტრაციული სამართალი | ძირითადი | საკონტაქტო საათი 36<br>ინდივიდუალური მუშაობა 90 საათი | 5 | √ | | | |
| Mgt599 | ორგანიზაციული მენეჯმენტი | ძირითადი | საკონტაქტო საათი 30 საათი<br>ინდივიდუალური მუშაობა 90 საათი | 4 | √ | | | |
| Mgt528 | პროექტის მართვა | არჩევითი | საკონტაქტო საათი 36 საათი<br>ინდივიდუალური მუშაობა 90 საათი | 5 | √ | | | |
| Mgt510 | ადამიანური რესურსების მართვა | არჩევითი | საკონტაქტო საათი 30 საათი<br>ინდივიდუალური მუშაობა 70 საათი | 4 | √ | | | |
| PP680 | ლიდერობა | არჩევითი | საკონტაქტო საათი 30<br>ინდივიდუალური მუშაობა 70 საათი | 4 | √ | | | |
| Mgt530 | ორგანიზაციული კომუნიკაცია | არჩევითი | საკონტაქტო საათი 24<br>ინდივიდუალური მუშაობა 60 საათი | 3 | √ | | | |
| Econ519 | ეკონომიკის პრინციპები | ძირითადი | საკონტაქტო საათი 40 საათი<br>ინდივიდუალური მუშაობა 110 საათი | 6 | | √ | | |
| PP755 | საჯარო ფინანსები/საგადასახადო პოლიტიკა | ძირითადი | საკონტაქტო საათი 36<br>ინდივიდუალური მუშაობა 90 საათი | 5 | | √ | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Dev509 | კულტურული მემკვიდრეობა | არჩევითი | საკონტაქტო საათი 28<br>ინდივიდუალური მუშაობა 80 საათი | 4 | | √ | | |
| Media847 | საჯარო გამოსვლები/პრეზენტაციის უნარები | არჩევითი | საკონტაქტო საათი 30<br>ინდივიდუალური მუშაობა 70 საათი | 4 | | √ | | |
| Res500 | კვლევის მეთოდები და კვლევის დიზაინი | ძირითადი | საკონტაქტო საათი 45<br>ინდივიდუალური მუშაობა 130 საათი | 7 | | √ | | |
| Stat505 | სტატისტიკა | ძირითადი | საკონტაქტო საათი 24<br>ინდივიდუალური მუშაობა 70 | 4 | | √ | | |
| PP520 | პოლიტიკის ანალიზი | ძირითადი | საკონტაქტო საათი 36<br>ინდივიდუალური მუშაობა 90 | 5 | | √ | | |
| PP601 | ადგილობრივი თვითმმართველობის საფუძვლები | ძირითადი | საკონტაქტო საათები 40<br>ინდივიდუალური მუშაობა 110 | 6 | | | √ | |
| Dev600 | ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება | ძირითადი | საკონტაქტო საათები 36<br>ინდივიდუალური მუშაობა 90 | 5 | | | √ | |
| Dev680 | ურბანული განვითარება და პოლიტიკა | ძირითადი | საკონტაქტო საათი 30<br>ინდივიდუალური მუშაობა 90 | 4 | | | | |
| | შემაჯამებელი გამოცდა | ძირითადი | საკონტაქტო საათი 32<br>ინდივიდუალური მუშაობა 90 საათი | 5 | | | √ | |
| | სასწავლო პრაქტიკა | ძირითადი | საკონტაქტო საათი 160 | 15 | | | | √ |
| | სამაგისტრო ნაშრომი / სადიპლომო | ძირითადი | | 20 | | | | √ |

უნივერსიტეტის არჩევითი საგნები (რეკომენდირებული)

| საგნის კოდი | საგანი | საგნის სტატუსი | კრედიტების დაანგარიშება | კრედიტების რაოდენობა | კრედიტების განაწილება | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | სემესტრები | | | |
| | | | | | I | II | III | IV |
| **PSc554** | სამოქალაქო საზოგადოების განვითარება | არჩევითი | 25 -100 | 4 | | √ | | |
| **PP730** | კულტურის პოლიტიკა | არჩევითი | 60 - 240 | 10 | | | | √ |
| **Econ500** | საერთაშორისო განვითარება | არჩევითი | 36 - 120 | 5 | √ | | | |
| **Mgt540** | კორპორაციული მართვა | არჩევითი | 36 -120 | 5 | | | √ | |
| **PR 610** | საზოგადოებასთან ურთიერთობის ტექნოლოგიები | არჩევითი | 30 - 110 | 4 | | | √ | |

**პროგრამის განმახორციელებლები**

პროგრამას ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი მიმართულების ხელმძღვანელებთან ერთად.

პროგრამის ხელმძღვანელი: ირინა გორგილაძე
საკონტაქტო ინფორმაცია - 595 55 42 92; Gorgiladze@gipa.ge

## საგნები და ლექტორები

| საგანი | ლექტორები |
|---|---|
| სახელწმიფო მმართველობის საფუძვლები | ნინო დოლიძე |
| სამართლის საფუძვლები / ადმინსტრაციული სამართალი | ირაკლი ხმალაძე |
| ორგანიზაციული მენეჯმენტი | ნინო დოლიძე |
| პროექტის მართვა | ხათუნა ხვიჩია |
| ადამიანური რესურსების მართვა | ირმა ბერძენიშვილი |
| ლიდერობა | რუსუდან მშვიდობაძე |
| ორგანიზაციული კომუნიკაცია | ლევან ზარდალიშვილი |
| ეკონომიკის პრინციპები | გიორგი ბაქრაძე |
| საჯარო ფინანსები/საგადასახადო პოლიტიკა | დავით ნარმანია |
| კულტურული მემკვიდრეობა | ცირა ელისაშვილი |
| საჯარო გამოსვლები/პრეზენტაციის უნარები | მარინე იოსელიანი |
| კვლევის მეთოდები/კვლევის დიზაინი | მარიამ სეხნიაშვილი |
| სტატისტიკა | ჟანა ანთია |
| პოლიტიკის ანალიზი | ნინო ღონღაძე |

| | |
|---|---|
| | |
| ადგილობრივი თვითმმართველობის საფუძვლები | ლიზა სოფრომაძე |
| ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება | დავით ნარმანია |
| ურბანული განვითარება და პოლიტიკა | ცირა ელისაშვილი |

# ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლა

ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლა უკვე ათი წელია წარმატებით ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს მედიისა და კომუნიკაციის მიმართულებით, რითაც ემსახურება თავისუფალი მედია გარემოს მხარდაჭერას კავკასიის რეგიონში.

2011 წლის სექტემბრიდან სამაგისტრო პროგრამები ხორციელდება სამხრეთ კაროლაინას უნივერსიტეტის ჟურანალისტიკისა და მას. კომუნიკაციის სკოლასთან მჭიდრო თანამშრომლობით. ოქტომბრიდან სტუდენტური მედიის განვითარებისათვის ამოქმედდა ინტეგრირებული ნიუსრუმი, რომელიც უახლესი ტექნიკით არის აღჭურვილი.

2010 წელს დაარსდა და წარმატებით აგრძელებს ფუნქციონირებას სადისკუსიო კლუბი "ფრონტლაინ ჯორჯია", ასევე სკოლის ბაზაზე მაუწყებლობს რადიო GIPA, ტალღაზე FM 94.3.

**სკოლაში მოქმედებს ორი სამაგისტრო პროგრამა:**

- მულტი-მედიური ჟურნალისტიკისა და მედია-მენეჯმენტის პროგრამა
- საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:
მულტი-მედიური ჟურნალისტიკისა და მედია-მენეჯმენტის პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:
მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით:
126 კრედიტი

სწავლების ენა:
ინგლისური

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:
მაგისტრატურა

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:
აკადემიური

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:
მასობრივი კომუნიკაციების სფეროში სამაგისტრო პროგრამის დანიშნულება სტუდენტებისთვის ჟურნალისტიკის პრინციპების და მეთოდების სწავლებაში მდგომარეობს. ამაში იგულისხმება ინფორმაციის შეგროვება ინტერვიუების ჩატარების და დოკუმენტების მეშვეობით; ამ ინფორმაციის ანალიზი და მისი გამოყენება კონკრეტული ამბის სიტყვებით, გრაფიკით, ფოტოებით, აუდიო და ვიდეო მასალებით მიუკერძოებლად და ზუსტად გადმოსაცემად. აღნიშნული სიუჟეტები საზოგადოებას უნდა ემსახურებოდეს და სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებისკენ უნდა იყოს მიმართული. აღნიშნული პროგრამა სტუდენტებს რთული საკითხების საზოგადოებისთვის გამარტივებული სახით მიწოდებას და კანონდარღვევების გამოძიებას ასწავლის; პროგრამა სტუდენტებს ასევე სოციალური მედიის და სხვა ინტერაქტიული საშუალებების გამოყენებით საზოგადოებრივი ფორუმის შექმნას ასწავლის, რათა საზოგადოებას ჰქონდეს განცდა რომ მას შეუძლია იმოქმედოს საკუთარი ინტერესების დასაცველად. გარდა ამისა პროგრამა სტუდენტებს აწვდის ცოდნას იმის შესახებ თუ როგორ უნდა მოხდეს ორიგინალური კვლევის ანალიზი და საკურსო ნაშრომის დაწერა. სტუდენტებისთვის კვლევის სწავლებაში შედის მათთვის ანალიტიკური, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარ-ჩვევების გამომუშავებაში დახმარების გაწევა. პროგრამა სტუდენტებს აძლევს საშუალებას გაიარონ სპეციალიზაცია მედია მენეჯმენტში ან მულტიმედიურ ჟურნალისტიკაში. პროგრამა ინგლისურ ენაზე ისწავლება და ის საერთაშორისო აუდიტორიისთვის არის განსაზღვრული. კავკასიის ჟურნალისტიკის და მედია მენეჯმენტის სკოლის მიზანია შეასრულოს ეს მისია პრაქტიკულ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მეშვეობით, რომელსაც საერთაშორისო და ქართველი სპეციალისტები წარუძღვებიან უმაღლესი ხარისხის მულტიმედიურ ლაბორატორიაში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:
მასობივი კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია იმ პირთათვის, რომლებსაც სურთ შეიძინონ ახალი სპეციალობა-მედია მენეჯმენტი ან მულტი-მედიური ჟურნალისტიკა. პროგრამის მიზნობრივი აუდიტორია ასევე მოიცავს იმ პირებს, რომლებსაც უკვე მიღებული აქვთ საბაზისო განათლება ჟურნალისტიკაში ან მედია მენეჯმენტში და სურთ გაიღრმავონ ცოდნა აღნიშნული მიმართულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს: 1) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ნებისმიერ სფეროში (მათ შორის ჟურნალისტიკაში და მენეჯმენტში); 2) ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ზღვარის წარმატებით გადალახვა; 3) ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა, რადგან სწავლა ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს; 4) საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტიოს ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიის სკოლის ბაზაზე დაკომპლექტებულ მიმღებ კომისიასთან გასაუბრების წარმატებით გავლა.

სწავლის შედეგები:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | ცოდნა და გაცნობიერება | 1.1 | სტუდენტები შეიძენენ ჟურნალისტიკის სფეროში არსებული თეორიების და კვლევების შედეგების ღრმა და სისტემატურ ცოდნას, რაც მათ ახალი ორიგინალური იდეების განვითარების და გარკვეული პრობლემების გადაწყვეტის გზების მოძიების საშუალებას მისცემს. |
| | | 1.2 | სტუდენტები მოახდენენ ჟურნალისტური პრაქტიკის კრიტიკულად გააზრების დემონსტრირებას, მათ შორის ფაქტების, სტანდარტების, კონვენციების და პრინციპების გააზრება, ასევე იმ შიდა და გარე ძალების გააზრება, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ამ პრაქტიკაზე. |
| | | 1.3 | სტუდენტები შეიძენენ მედია ბიზნესის ოპერირების სისტემურ ცოდნას, მათ შორის იმ შიდა და გარე ძალების კარგად გაცნობიერება, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მედია ბიზნესის ოპერირებაზე. |
| | | 1.4 | სტუდენტებმა უნდა მოახდინონ კავკასიის ქვეყნებში ჟურნალისტიკის ისტორიის, ეთიკის და კანონების ცოდნის დემონსტრირება. |
| 2. | ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | 2.1 | სტუდენტები შეძლებენ პრაქტიკაში გამოიყენონ ურნალისტური თეორიების, კვლევების შედეგების და პრაქტიკის ცოდნა და გააზრება რთული პრობლემების გადაწყვეტისთვის ახალი და ორიგინალური გზების მოსაძიებლად. |
| | | 2.2 | სტუდენტები შეძლებენ გამოიყენონ ინტერნეტის, მათ შორის სხვადასხვა მონაცემთა ბაზების ცოდნა და გაგება რათა მათ დამოუკიდებლად შეძლონ იმ კვლევების ჩატარება, რაც საჭიროა სიღრმისეული და საგამოძიებო სიუჟეტების მოსამზადებლად. |
| | | 2.3 | სტუდენტები შეძლებენ პრაქტიკაში გამოიყენონ სამენეჯმენტო ფუნქციების ცოდნა და კონცეპტუალური გაგება, რათა მათ შეძლონ მედია ბიზნესში არსებულ მისაღებ რისკებზე წასვლა, გამოწვევების მიღება და კრიზისების გადალახვა. |
| | | 2.4 | სტუდენტები შეძლებენ გამოიყენონ ჟურნალისტის ისეთი ცალკეული უნარ-ჩვევები როგორებიცაა: სიუჟეტების ტექსტების წერა და მათი მონტაჟი, ფოტოსურათების გადაღება და რედაქტირება, გრაფიკის შექმნა და მონტაჟი, აუდიოს ჩაწერა და მონტაჟი, ვიდეოების გადაღება და მონტაჟი რათა მათ შეძლონ ინტერაქტიული მედია კონტენტის შექმნა. |
| 3. | დასკვნის უნარი | 3.1 | სტუდენტები შეძლებენ ახალი და რთული ინფორმაციის გამოძიებას, ანალიზს, ორგანიზებას და სინთეზირებას, მათ შორის იმ ინფორმაციის რომელიც მონაცემთა ბაზიდან არის მიღებული, იმისთვის რომ მათ საფუძვლიანი შეფასებები/დასკვნები გააკეთონ. |
| | | 3.2 | სტუდენტები შეძლებენ აწონ-დაწონონ სხვადასხვა წყაროების მიერ მოწოდებული ფაქტები და მოსაზრებები, რათა მედიისთვის შექმნან სამართლიანი, დაბალანსებული და მიუკერძოებელი სიუჟეტები. |
| | | 3.3 | სტუდენტები დაეყრდნობიან მედია კვლევის თეორიებს და მეთოდებს რათა მათ შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება შეძლონ. |
| | | 3.4 | სტუდენტები შეძლებენ სწრაფად მიიღონ ეთიკური და იურიდიული გადაწყვეტილებები და გააკეთონ შესაბამისი შეფასებები, მაშინაც კი თუ ყველა რელევანტური ინფორმაცია არ იქნება ხელმისაწვდომი. |
| 4. | პროფესიონალური უნარ-ჩვევები | 4.1 | სტუდენტები შეძლებენ ისეთი აპარატურის გამოყენებას, რომელსაც ჩვეულებრივ იყენებენ მულტიმედიური ჟურნალისტები (ფოტო-კამერები, ვიდეო კამერები, აუდიო ჩამწერები, მობილური ტელეფონები, ფლიპ კამერები), რათა შექმნან პროფესიონალური დონის კონტენტი რომელიც ნებისმიერი ასაკის და კატეგორიის აუდიტორიისთვის იქნება განკუთვნილი. |
| | | 4.2 | სტუდენტები შეძლებენ იმ კომპიუტერული პროგრამების გამოყენებას, რომლებსაც მულტიმედიური ჟურნალისტები ჩვეულებრივ იყენებენ ხოლმე (Adobe Photoshop, Adobe Illustrator, Adobe Premier; Final Cut Pro) რათა მათ შეძლონ პროფესიონალური დონის კონტენტის შექმნა რომელიც ნებისმიერი ასაკის და კატეგორიის აუდიტორიისთვის იქნება განკუთვნილი. |
| | | 4.3 | სტუდენტები შეძლებენ ბლოგერებისთვის განკუთვნილი სერვისების (blogger.com, WordPress.com, TypePad.com) და კონტენტის მართვის სისტემების (Drupal, WordPress) გამოყენებას, ონლაინ სიუჟეტების/კონტენტის შექმნას და გამოქვეყნებას. |
| | | 4.4 | სტუდენტები შეძლებენ ქსელური პლატფორმების (Facebook.com, Twitter) და კონტენტის გაზიარებისთვის განკუთვნილი რესურსების (YouTube, Flickr, Scribd) გამოყენებას ინფორმაციის ინტერნეტის საშუალებით გავრცელების მიზნით. |
| | | 4.5 | სტუდენტებს ეცოდინებათ ციფრული უსაფრთხოების პლატფორმების გამოყენება (Pidgin in OTR, TOR, VaultlatSuite) რათა მათ მიერ მოპოვებული ინფორმაცია და ინტერნეტ კომუნიკაციის პრივატულობა იყოს დაცული. |
| 5. | საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები | 5.1 | სტუდენტები შეძლებენ აკადემიური პატიოსნების დაცვით საკუთარი დასკვნების, შეფასებების და არგუმენტების წარდგენას აკადემიური და პროფესიონალური წრეებისთვის ინგლისურ და ქართულ ენებზე. |

| | |
|---|---|
| | 5.2 სტუდენტები შეძლებენ აკადემიური პატიოსნების დაცვით იდეების სიუჟეტებში, ფოტოებში, გრაფიკაში, აუდიო და ვიდეო ჩანაწერებში გადმოცემას.<br>5.3 სტუდენტები შეძლებენ მოსაზრებების გადმოცემას ზეპირად და ტექნოლოგიების გამოყენებით აუდიტორიისთვის იდეების მიწოდების და საკუთარი თვალსაზრისის არგუმენტირების მიზნით. |
| 6. სწავლის უნარ-ჩვევები | 6.1 სწრაფად ცვალებადი მედია გარემოს მიერ შემოთავაზებული ახალი გამოწვევებისთვის და შესაძლებლობებისთვის მხრის ასაბმელად სტუდენტები დამოუკიდებლად სწავლას შეძლებენ.<br>6.2 სტუდენტებს გააზრებული ექნებათ სწავლის პროცესის ყველა ასპექტი, რათა მათ სხვებისთვის (მაგალითად კოლეგებისთვის) სწავლებაში დახმარების გაწევა შეძლონ რაც უზრუნველყოფს მუდმივ პროფესიონალურ განვითარებას და რაც საჭიროა გლობალურ მედია ბაზარზე კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად. |
| 7. ფასეულობები | 7.1 სტუდენტები შეძლებენ ურნალისტურ ნამუშევრებში მათ შორის სიუჟეტებში, ფოტოებში, საინფორმაციო გრაფიკულ ნამუშევრებში, აუდიო და ვიდეო ჩანაწერებში და ასევე ბეჭდურ და ონლაინ პუბლიკაციებში არსებული ფასეულობების შეფასებას რაც მათ დაეხმარება სხვებისთვის ამ ჟურნალისტური ნამუშევრების ხარისხზე ინფორმაციის მიწოდებაში.<br>7.2 სტუდენტები შეძლებენ საკუთარი და სხვების ფასეულობების შეფასებას, მაგალითად ინიციატივის, პროფესიონალიზმის და პასუხისმგებლიანობის მნიშვნელობის შეფასებას. ეს საჭიროა გუნდური მუშაობის მეშვეობით რთული დავალებების შესასრულებლად.<br>7.3 სტუდენტებს კარგად ეცოდინებათ ადამიანის ბუნება და ლიდერობის და მენეჯმენტის სხვადასხვა სტილები, მათ ასევე გააზრებული ექნებათ ლიდერებსა და მენეჯერებს შორის განსხვავება რათა მათ შეძლონ სხვების მოტივირება და გადაწყვეტილებების მიღების პროცესისთვის ხელის შეწყობა.<br>7.4 სტუდენტებს გააზრებული ექნებათ ღირებულებების მრავალფეროვნების მნიშვნელობა. მათ ასევე გააზრებული ექნებათ საზოგადოების სხვადასხვა ფენების ფასეულობები, რაც საჭიროა სწორი ლიდერობისთვის და მედია ორგანიზაციის სწორი მიმართულებით წაყვანისთვის. |

| კურსის კოდი | კურსის დასახელება | ცოდნა და გაცნობიერება | | | | ცოდნის და გაგების გამოყენება | | | | დასკვნის უნარი | | | | პროფესიონალური უნარ-ჩვევები | | | | | საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები | | | სწავლის უნარ-ჩვევები | | ფასეულობები | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1.1 | 1.2 | 1.3 | 1.4 | 2.1 | 2.2 | 2.3 | 2.4 | 3.1 | 3.2 | 3.3 | 3.4 | 4.1 | 4.2 | 4.3 | 4.4 | 4.5 | 5.1 | 5.2 | 5.3 | 6.1 | 6.2 | 7.1 | 7.2 | 7.3 | 7.4 |
| MFC 600 | მედია სამართალი და ეთიკა | | | | √ | √ | | | | | | | √ | | | | | | √ | | | | | | √ | | |
| MFC 601 | აკადემიური წერა | √ | | | | √ | | | | √ | | | | | | | | | √ | | | | | | | | |
| MFC 602 | მასობრივი კომუნიკაციების თეორიები | √ | | | | √ | | | | | | √ | | | | | | | | | | √ | | | | | √ |
| MFC 603 | კვლევის მეთოდები | √ | | | | √ | | | | | | √ | | | | | | | | | | √ | | | | | |
| MFC 604 | ჟურნალისტური ოსტატობა (საფუძვლები) | √ | | | | | | | √ | | √ | | | | | | | | | | | | | | | | |
| MFC 605 | ჟურნალისტური ოსტატობა (მაღალი საფეხური) | √ | √ | | | | | | √ | √ | √ | | | | | | | | | | | | | √ | | | |
| MFC 606 | ვიზუალური კომუნიკაცია | | √ | | | | | | √ | √ | | | | √ | √ | | | | | | | | | √ | | | |
| MFC 607 | სამაუწყებლო ჟურნალისტიკის საფუძვლები | | √ | | | | | | √ | | √ | | | √ | √ | | | | | | | | | √ | | | |
| MFC 608 | Web 2.0-სოციალური მედია და პროგრამირება ჟურნალისტებისთვის | | | √ | | | √ | | | | √ | | | | | √ | √ | √ | | | | | | | | | |
| MFC 609 | მედია-მენეჯმენტი და ლიდერის როლი მედია-ორგანიზაციაში | | | √ | | | | √ | | √ | | √ | | | | | | √ | | | √ | | √ | | | √ | |
| MFC 610 | მედია როგორც ბიზნესი | | | √ | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| JOUR 600 | ჟურნალისტიკა 2.0-ონლაინ ჟურნალისტიკა | | | | | | √ | | | √ | | | | | | √ | √ | √ | | | | | | | | | |
| JOUR 601 | როგორ მოვყვეთ ამბავი გამოსახულებით | | | | | | | | √ | √ | | | | √ | √ | | | | | | | | | | | | |
| JOUR 602 | კონვერგირებული (მულტი-პლათფორმული) ნიუსრუმი | | | | | | √ | | | | | | √ | √ | √ | | | | | | | | | | | | |
| JOUR 603 | დოკუმენტური ფილმი: იდეიდან პრემიერამდე | | | | | | | | √ | | √ | | | √ | √ | | | | | | | | | | | | |
| MNG 600 | მედია-კონტენტის მართვა | | | √ | | | | √ | | √ | | √ | | | | | | | | | √ | | | | | | |
| MNG 601 | მედია-გაყიდვები | | | | | | | | | √ | | | | | | | | | | | | | | | | | |
| MNG 602 | მედია-მარკეტინგი | | | | | | | | | √ | | | | | | | | | | | | | | | | | |
| MNG 603 | მედიის ეკონომიკური თავისებურებები | | | √ | | | | √ | | √ | | √ | | | | | | | √ | | | | | | | | |
| PRP 600 | პრაქტიკული პროექტი | | | √ | | | | √ | √ | | | | | √ | √ | √ | √ | √ | √ | | √ | | | | √ | √ | √ |
| PRP 601 | სტაჟირება | √ | | | | √ | √ | √ | √ | √ | √ | √ | √ | √ | √ | √ | √ | √ | √ | √ | √ | | | √ | √ | √ | √ |
| RES 600 | კვლევითი ნაშრომი | √ | √ | √ | | | √ | √ | | √ | | | | | | | | | √ | | √ | | | | √ | √ | √ |
| PR 701 | საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლები | | | √ | | | | √ | | √ | | | | | | | | | | | √ | | √ | | | | √ |
| PSc554 | სამოქალაქო საზოგადოების განვითარება | | | √ | | | | | | √ | | | | | | | | | | | | | | | | | √ |
| Media580 | პრეზენტაციის უნარ-ჩვევები | | | √ | | | | √ | | | | | | | | | | | | | √ | | | | √ | √ | |

<u>სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:</u>
საკლასო ოთახის ფარგლებში სასწავლო მეთოდოლოგიები მოიცავს ლექციებს, დისკუსიებს, სტუდენტების პრეზენტაციებს, ჟურნალისტიკის და მედია მენეჯმენტის სფეროებიდან მოწვეულ სტუმრებთან შეხვედრებს, კრიტიკულ ანალიზს, როლურ სავარჯიშოებს, გუნდურ პროექტებს, სიუჟეტების წერას და რედაქტირებას, გრაფიკის შექმნას და მონტაჟს, ფოტოების რედაქტირებას, აუდიოს ჩაწერას და რედაქტირებას და ვიდეოს მონტაჟს. სტუდენტები ასევე ისწავლიან კვლევის ჩატარებას ონლაინ მონაცემთა ბაზის და Google Scholar-ის, ასევე ეროვნული ბიბლიოთეკიდან მიღებული ბეჭდური მასალების გამოყენებით.

საკლასო ოთახის გარეთ სტუდენტები ფაკულტეტის თანამშრომლებთან მჭიდრო ურთიერთკავშირში იმუშავებენ და რეალურ ახალ ამბებს გააშუქებენ რესპონდენტებისგან ინტევიუების აღების, ფოტოების გადაღების, ვიდეოს გადაღების და აუდიოს ჩაწერის მეშვეობით. გარდა ამისა მათთვის მიცემული ჟურნალისტური დავალებების შესასრულებლად სტუდენტები ამ მასალებს დაამონტაჟებენ. ამის შემდეგ სტუდენტები სხვადასხვა მასალებს ერთად შეკრებენ და მულტიმედიური ახალი ამბების ვებსაიტისთვის და „რადიო GIPA-სთვის" ახალი ამბების გამოშვებებს მოამზადებენ.
სტუდენტებს ასევე ვებსაიტის და რადიო სადგურის მართვის საშუალება ექნებათ და ისინი ფაკულტეტის თანამშრომლებთან ერთად მედია პროგრამებისთვის შეთავაზებების მომზადებაზე იმუშავებენ.

სტუდენტები გამოიყენებენ პროფესიონალურ აღჭურვილობას და კომპიუტერულ პროგრამებს, მათ შორის ფოტო კამერებს, ვიდეოკამერებს, აუდიო ჩამწერებს, მობილურ ტელეფონებს, ფლიპ კამერებს, Adobe Photoshop-ს, Adobe Illustrator-ს, Adobe Premier-ს და Final Cut Pro-ს ინტერაქტიული კონტენტის მოსამზადებლად, რომელიც ნებისმიერი ასაკის და კატეგორიის აუდიტორიისთვის იქნება განკუთვნილი. სტუდენტები ასევე გამოიყენებენ ბლოგერებისთვის განკუთვნილ რესურსებს (blogger.com, WordPress.com, TypePad.com) და კონტენტის მართვის სისტემებს (Drupal, WordPress) ონლაინ სიუჟეტების მოსამზადებლად და გამოსაქვეყნებლად.

<u>დასაქმების სფერო:</u>
სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს მულტიმედიურ ჟურნალისტებად ამზადებს, უნერგავს რა მათ ისეთ უნარ-ჩვევებს და ცოდნას, რომლებიც საჭიროა შერეულ მედია გარემოში სამუშაოდ ახალი ტექნოლოგიების და სხვადასხვა პლატფორმების გამოყენებით. იმ სტუდენტების შემთხვევაში, რომლებიც მედია მენეჯმენტის მიმართულებას ირჩევენ, პროგრამა მათ დაბალი და საშუალო რგოლის სამენეჯმენტო პოზიციებზე სამუშაოდ ამზადებს. ყველა სტუდენტი საკმარის ცოდნას მიიღებს კვლევების ჩატარების შესახებ, რათა მათ შეძლონ სერიოზული საკურსო ნამუშევრების დაწერა, რომლებშიც ისინი სხვა მკვლევარების მიერ გაკეთებული დასკვნების ინტერპრეტირებას მოახდენენ; ასევე სტუდენტები მიიღებენ საკმარის ცოდნას იმისთვის, რომ დამოუკიდებლად ან ჯგუფთან ერთად ჩაატარონ კვლევა და განახორციელონ კვლევის შედეგების ანალიზი.

ის სტუდენტები რომლებიც მუტიმედიური ჟურნალისტიკის მიმართულებას აირჩევენ შეძლებენ იმუშაონ შემდეგ პოზიციებზე:
- მულტიმედიური რეპორტიორი/კორესპონდენტი, რედაქტორი, პროდიუსერი, ახალი ამბების წამყვანი და ასევე მუშაობა სხვა პროგრამებში ან მულტიმედიურ საშუალებებში, ბეჭდურ ან ონლაინ გამოცემებში და/ან შერეულ ნიუსრუმში.
- ფოტოჟურნალისტი
- დოკუმენტური ფილმების რეჟისორი/პროდიუსერი/რედაქტორი/მკვლევარი

ის სტუდენტები რომლებიც მედია მენეჯმენტის მიმართულებას აირჩევენ შეძლებენ ისეთ სამენეჯმენტო პოზიციებზე მუშაობას ბეჭდურ/ონლაინ/სამაუწყებლო მედია საშუალებებში როგორებიცაა:
- დაბალი და საშუალო რგოლის სამენეჯმენტო პოზიციები
- პროგრამის სპეციალისტები
- მარკეტინგის, რეკლამირების და გაყიდვების სპეციალისტები
- დამსაქმებელი ჟურნალისტები და ფრილანსერები

<u>სტუდენტების ცოდნის შეფასების სისტემა:</u>
მულტი-მედიური ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოში შეფასების ცენტრალური სისტემით დადგენილ ხუთი სახის დადებით შეფასებას:

A ფრიადი – 91-100%
B ძალიან კარგი – 81-90%
C კარგი – 71 – 80%
D დამაკმაყოფილებელი – 61 – 70%
E საკმარისი - 51 – 60%
FX ვერ ჩააბარა - 41 – 50%
F ჩაიჭრა - 40% და ნაკლები

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის შემადგენელი ნაწილია საშუალო მაჩვენებლის (GPA) გამოანგარიშება, რომლის გადალახვის მინიმალურ ზღვარს წარმოადგენს 2.5 ქულა:

A = 4
B = 3, 2
C = 2, 4
D = 1, 6
E = 0, 8

<u>ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ</u>

პრაქტიკული, უნარ-ჩვევებზე ორიენტირებული კურსების გასავლელად სტუდენტები გამოიყენებენ ახალ „მულტიმედიურ საგანმანათლებლო ცენტრს“, რომლის მისამართია ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩა #10ა. აღნიშნული ცენტრი აღჭურვილია უახლესი ტექნიკით და კომპიუტერული პროგრამებით, რომლებსაც იყენებენ პროფესიონალი ჟურნალისტები და მედია მენეჯერები როგორც საქართველოში ისე ევროპაში და ა.შ.შ.-ში. ამ ცენტრის შესაქმნელად სახსრები ა.შ.შ.-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID-მ) გამოყო, ხოლო ცენტრის შემქმნელი და მმართველი კი IREX-ია. კავკასიის ჟურნალისტიკის და მედია მენეჯმენტის სკოლა ამ დაწესებულების ერთ-ერთი უმთავრესი ბენეფიციარია. ამ ცენტრის შიგნით არსებული სივრცე ადვილად ცვალებადია და სასწავლო საჭიროებების მიხედვით მისი გადაკეთება საკმაოდ მარტივია რადგან მთელი ავეჯი და თვით კედლებიც კი მობილურია. აღნიშნულ ცენტრს სტუდიის დონის აღჭურვილობა აქვს, რომელიც ინტერვიუების ჩაწერის, მონტაჟის, წარმოების და მრავალპლატფორმიანი კონტენტის შექმნის საშუალებას იძლევა, მათ შორის:

- 40 კომპიუტერი (15 დიუიმიანი Macbook Pro ნოუთბუქები)
- 4 დიდეკრანიანი კომპიუტერი (27 დიუიმიანი iMac პერსონალური კომპიუტერები)
- 30 ვიდეო კამერა (თავისი აქსესუარებით)
- 6 ლაივ სტრიმინგისთვის საჭირო მობილური ვიდეო აპარატურა
- 18 ფოტო კამერა (თავისი აქსესუარებით)
- სტუდიის ლაივსტრიმისთვის საჭირო ვიდეო აპარატურა (მულტიკამერიანი სტუდიური ხარისხის ტელეპროგრამების საწარმოებლად)
- 4 ვიდეო პროექტორი
- 25 აუდიო ჩამწერი (თავისი აქსესუარებით)
- 12 აიფედი.

თეორიული კურსი ბროსეს ქუჩა #2-ში ისწავლება, სადაც ერთ საკლასო ოთახში 25 სტუდენტისთვის განკუთვნილი კომპიუტერი დგას. ორ საკლასო ოთახს პროექტორები და ე.წ. „სმარტ ბორდები“ (ინტერაქტიური დაფები) აქვთ.

კავკასიის ჟურნალისტიკის და მედია მენეჯმენტის სკოლას საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან შეთანხმება აქვს დადებული. გარდა ამისა მას ბროსეს ქუჩა #2-ში მცირე ბიბლიოთეკა აქვს სადაც ინახება წიგნები ჟურნალისტიკასა და მედია მენეჯმენტის შესახებ. ა.შ.შ.-ს სახელმწიფო დეპარტამენტისგან მიღებული გრანტის წყალობით სკოლამ შეიძინა კვლევითი ჟურნალები, დამატებითი ელექტრონული და ბეჭდური წიგნები.

პროგრამის სასწავლო გეგმა:

| საგნის კოდი | საგანი | საგნის სტატუსი | კრედიტების დაანგარიშება | კრედიტების რაოდენობა | კრედიტების განაწილება სემესტრები | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | I | II | III | IV | V |
| MFC 600 | მედია სამართალი და ეთიკა | ძირითადი | 42-108 | 6 | √ | | | | |
| MFC 601 | აკადემიური წერა | ძირითადი | 42-108 | 6 | √ | | | | |
| MFC 602 | მასობრივი კომუნიკაციების თეორიები | ძირითადი | 28-122 | 6 | √ | | | | |
| MFC 603 | კვლევის მეთოდები | ძირითადი | 42-108 | 6 | | √ | | | |
| MFC 604 | ჟურნალისტური ოსტატობა (საფუძვლები) | ძირითადი | 56-119 | 7 | √ | | | | |
| MFC 605 | ჟურნალისტური ოსტატობა (მაღალი საფეხური) | ძირითადი | 56-119 | 7 | | √ | | | |
| MFC 606 | ვიზუალური კომუნიკაცია | ძირითადი | 56-119 | 7 | | √ | | | |
| MFC 607 | სამაუწყებლო ჟურნალისტიკის საფუძვლები | ძირითადი | 56-119 | 7 | | √ | | | |
| MFC 608 | Web 2.0-სოციალური მედია და პროგრამირება ჟურნალისტებისთვის | ძირითადი | 56-119 | 7 | | | √ | | |
| MFC 609 | მედია-მენეჯმენტი და ლიდერის როლი მედია-ორგანიზაციაში | ძირითადი | 28-122 | 6 | √ | | | | |
| MFC 610 | მედია როგორც ბიზნესი | ძირითადი | 28-122 | 6 | | √ | | | |
| JOUR 600 | ჟურნალისტიკა 2.0-ონლაინ ჟურნალისტიკა | ძირითადი | 56-119 | 7 | | | | √ | |
| JOUR 601 | როგორ მოვყვეთ ამბავი გამოსახულებით | ძირითადი | 56-119 | 7 | | | √ | | |
| JOUR 602 | კონვერგირებული (მულტი-პლათფორმული) ნიუსრუმი | ძირითადი | 84-91 | 7 | | | | | √ |
| JOUR 603 | დოკუმენტური ფილმი: იდეიდან პრემიერამდე | არჩევითი | 56-119 | 7 | | | | √ | |
| MNG 600 | მედია-კონტენტის მართვა | ძირითადი | 28-147 | 7 | | | √ | | |
| MNG 601 | მედია-გაყიდვები | ძირითადი | 28-147 | 7 | | | | √ | |
| MNG 602 | მედია-მარკეტინგი | ძირითადი | 28-147 | 7 | | | | √ | |
| MNG 603 | მედიის ეკონომიკური თავისებურებები | არჩევითი | 28-147 | 7 | | | | √ | |
| PRP 600 | პრაქტიკული პროექტი | ძირითადი | - | 10 | | | | | √ |
| PRP 601 | სტაჟირება | ძირითადი | - | 2 | | | √ | | |
| RES 600 | კვლევითი ნაშრომი | ძირითადი | - | 15 | | | | | √ |
| PR 701 | საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლები | არჩევითი | 54-121 | 7 | | | | √ | |
| PSc554 | სამოქალაქო საზოგადოების განვითარება | არჩევითი | 25-75 | 4 | | | | √ | |
| Media580 | პრეზენტაციის უნარ-ჩვევები | არჩევითი | 21-54 | 3 | | | | √ | |

<u>საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:</u>

სამაგისტრო პროგრამა საზოგადოებასთან ურთიერთობაში

<u>მისანიჭებელი კვალიფიკაცია:</u>

საზოგადოებრივ ურთიერთობათა მაგისტრი

<u>პროგრამის მოცულობა კრედიტებით:</u>

120 ECTS კრედიტი

<u>სწავლების ენა:</u>

ქართული

<u>უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:</u>

მაგისტრატურა

<u>საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:</u>

აკადემიური

<u>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:</u>

ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სკოლის მიზანია თავისუფალი, დამოუკიდებელი და პროფესიული მედიისა და კომუნიკაციის განვითარების ხელშეწყობა კავკასიაში მაღალი ხარისხის დასავლური ტიპის აკადემიური და სასერტიფიკატო პროგრამების საშუალებით. სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო პროგრამის მიზანია ისეთი კურსდამთავრებულების გამოშვება, რომლებიც დაიმკვიდრებენ თავს, როგორც შემოქმედებითი კომუნიკატორები, რომელთაც აქვთ უნარი დაგეგმონ და წარმატებით განახორციელონ საკომუნიკაციო სტრატეგია სხვადასხვა ტიპის მედია საშუალებებით. ის სტუდენტებს უქმნის აუცილებელ თეორიულ საფუძველს და ხელს უწყობს პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას კომუნიკაციის, საზოგადოებასთან ურთიერთობის ან მარკეტინგის სფეროებში ეფექტური მუშაობისათვის, როგორც სამთავრობო, ისე კომერციულ და არასამთავრობო სექტორში.

<u>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:</u>

სამაგისტრო პროგრამაზე დაიშვებიან პირები: 1) ვისაც აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; 2) ვინც წარმატებით გადალახა ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ზღვარი; 3) ვინც წარმატებით გაიარა გასაუბრება საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში 4) ინგლისური ენის ცოდნა

<u>სწავლის შედეგები:</u>

| | | |
|---|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | აქვს სპეციალიზაციის სფეროს სისტემური, სიღრმისეული ციდნა, რაც აისახება ქვედარგის სტრუქტურის, ინსტიტუტებისა და სპეციალიზაციის საგნების ცოდნაში | მაგისტრმა იცის საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესის ძირითადი ასპექტები. გაცნობიერებული აქვს მისი როლი და იცნობს აზრის გამოხატვის ფორმებს.<br><br>აქვს ცოდნა მედია სისტემების, მათი ფუნქციონირების მექანიზმების და ინსტიტუციური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ისტორიული კონტექსტის შესახებ; იცნობს სხვადასხვა სახის მედია ორგანიზაციის სტრუქტურას.<br><br>იცის, თუ რა ფაქტორები განაპირობებს PR კამპანიის ეფექტურობას და |

| | | |
|---|---|---|
| | | როგორია ამ ეფექტურობის გაზრდის გზები; აგრეთვე, ესმის, თუ როგორ იმუშაოს დამკვეთთან (კლიენტთან) და დაეხმაროს მას მიზნის მიღწევაში. |
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** | სწავლისას მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე მაგისტრი შეძლებს მის პრაქტიკაში გამოყენებასა და დანერგვას. აქვს ახალი იდეების გენერირების უნარი. მაგისტრს აქვს უნარი დროის/რესურსის სიმცირის პირობებშიც ადეკვატური და ეფექტური გზები მონახოს პრობლემატური სიტუაციის გადასაჭრელად;<br>შეუძლია უცხო გარემოში ადაპტირება და შესაბამისი ქმედებების განხორციელება. სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა კვლევით კომპონენტს, რაც მაგისტრს აძლევს კვლევის მაღალ დონეზე ჩატარებისთვის საჭირო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. | შეუძლია კონკრეტული ამოცანების დასმა სასურველი შედეგების მისაღწევად, მოქმედების გეგმის შედგენა, მიღებული ცოდნის ორგანიზება ამ ამოცანების გადასაჭრელად და გეგმის განსახორციელებლად საჭირო პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა.<br>აქვს კვლევის სათანადო დონეზე წარმართვის უნარი;<br>პრობლემების იდენტიფიცირების, დასმის და გადაწყვეტის უნარი.<br><br>საქმიანი წამოწყებისა და ინიციატივის საკუთარ თავზე აღების უნარი ხედავს შესაძლებლობებს და სახავს გეგმებს ამ შესაძლებლობების გამოსაყენებლად, ახერხებს ადამიანების დარწმუნებას ქმედების საჭიროებაში და იზიდავს შესაბამის რესურსებს. საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრს ესმის, როგორ შეცვალა საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის პროფესია თანამედროვე, ტექნოლოგიურად მაღალგანვითარებულმა გარემომ და ფლობს ამ მოთხოვნების შესაბამის უნარ-ჩვევებს.<br>აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის ამოცანების გადასაწყვეტად ყველა შესაბამისი წყაროს მოძიების, შეფასების და გამოყენების უნარი; შეუძლია კვლევის ჩატარება - საჭირო ინფორმაციის მოძიება დოკუმენტებიდან, მონაცემთა ბაზებიდან და ექსპერტული ცოდნის მქონე ადამიანებისგან; შეუძლია მოპოვებული ინფორმაციის სანდოობის შეფასება და გამოყენება გადაწყვეტილებების მიღებისას.<br>მაგისტრს შეუძლია პროფესიული ტექნიკის ფლობა და აქვს პროფესიული ინსტრუმენტების გამოყენების უნარი. ტექსტური პრეს-რელიზის, ვიდეო პრეს-რელიზის მომზადება და გავრცელება, მონაცემთა ბაზებზე მუშაობა და სპეციალური კომპიუტერული პროგრამების გამოყენება ინფორმაციის გასავრცელებლად. |

| | | |
|---|---|---|
| დასკვნის უნარი | მაგისტრი ფლობს პრობლემის ამოცნობისა და მისი ჩამოყალიბების უნარს, შეუძლია პრობლემის გადაწყვეტის ეფექტური გზის შერჩევა და საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთება. მაგისტრს შეუძლია სხვადასხვა წყაროდან (თუნდაც არასრული) ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და დასაბუთებული დასკვნის გაკეთება. მაგისტრი აღჭურვილია მის გარშემო მიმდინარე მოვლენებისა და მონაცემების ანალიზის უნარით. შეუძლია მათი სინთეზურად განსჯა. | სამაგისტრო კურსის გავლის შემდეგ სტუდენტს აქვს დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უნარი, შეუძლია კრიტიკული აზროვნება, სიტუაციის ადეკვატურად შეფასება და ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება. შეუძლია ბაზრის და აუდიტორიის კვლევის ანალიზი.<br>აქვს აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზის და სინთეზის უნარი; შეუძლია კომპლექსური ტექსტის გაგება; შეუძლია კომპლექსური კონცეფციის გაგება, სხვა კონცეფციებთან დაკავშირება და პრაქტიკაში გამოყენება; შეუძლია სხვადასხვა დისციპლინაში მიღებული ცოდნის ინტეგრირება. |
| კომუნიკაციის უნარი | მაგისტრს შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით გადასცეს საკუთარი დასკვნები და არგუმენტები. შეუძლია ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების ათვისება, მიღებული ინფორმაციის დამოუკიდებლად დამუშავება. პროგრამის სასწავლო ფორმატი მაგისტრს უყალიბებს გუნდში ნაყოფიერი მუშაობის უნარ-ჩვევებს. | მაგისტრს აქვს პროფესიული კომუნიკაციის ძლიერად განვითარებული უნარი. შეუძლია ადამიანების მოტივირებისა და საერთო მიზნებისაკენ წარმართვა. საქმიანობაში კომუნიკაციისათვის აქტიურად იყენებს ინტერნეტს, სოციალურ მედიას და ალტერნატიული მედიის სხვა ფორმებს. იცის კომუნიკაციის თეორიები, რა მოდელები და თეორიები გამოიყენება ინფორმაციის გადაცემის პროცესების ასახსნელად.<br>ადვილად შეუძლია საერთო ენის გამონახვა არა მხოლოდ იმავე პროფესიის მქონე, არამედ სხვა პროფესიის მქონე ადამიანებთანაც, და მათთან ერთად ეფექტურად მუშაობა საერთო მიზნების მისაღწევად. |
| სწავლის უნარი | მაგისტრს შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, ავლენს სწავლის პროცესის თავისებურების გაცნობიერებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მაღალ დონეს. | აქვს სწავლის და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი, არ უშვებს ხელიდან შესაძლებლობებს ცოდნის გასაახლებლად, უწყვეტად ისწრაფვის თვითგანვითარებისა და პროფესიური სრულყოფისაკენ. |
| ღირებულებები | აფასებს თავის და სხვების დამოკიდებულებას ღირებულებებისადმი და პასუხისმგებლობით იცავს პროფესიული საქმიანობის ეთიკის ზღვრებს. გააჩნია | საზოგადოებასთან ურთიერთობის პროფესიის ეთიკური მოთხოვნების ცოდნა და სოციალური პასუხისმგებლობის შეგრძნება; იცნობს პროფესიული ქცევის ნორმებს და უფიქრია იმ ეთიკურ |

| | | |
|---|---|---|
| | განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის უნარი. მაგისტრს აქვს სოციალური პასუხისმგებლობითა და სამოქალაქო თვითშეგნებით მოქმედების უნარი. სრულად გაცნობიერებული აქვს თანაბარი შესაძლებლობებისა და გენდერული საკითხების მნიშვნელობა. | დილემებზე, რომელსაც შესაძლოა საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი საქმიანობისას წააწყდეს. იქცევა პროფესიული სტანდარტების შესაბამისად.<br><br>განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასების და პატივისცემის უნარი; სრულად აქვს გათავისებული ლიბერალური ღირებულებები და გახსნილია უცხო კულტურებისადმი.<br><br>ესმის და იზიარებს ზოგადსაკაცობრიო პროგრესულ ღირებულებებს და მოქმედებს მათ შესაბამისად. |

| | ცოდნა / გაცნობიერება | პრაქტიკაში გამოყენება | დასკვნის უნარი | კომუნიკაცია უნარი | სწავლის უნარი | ღირებულებები |
|---|---|---|---|---|---|---|
| საზოგადოებრივი აზრი | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ |
| ზოგადი მენეჯმენტი | ✓ | ✓ | | ✓ | ✓ | ✓ |
| პროექტების მართვა | ✓ | ✓ | | ✓ | ✓ | |
| საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლები | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარკეტინგის საფუძვლები და რეკლამა | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | | ✓ |
| კომუნიკაციის ფსიქოლოგია | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | |
| კომუნიკაციის თეორია | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | |
| საზოგადოებასთან ურთიერთობის ტექნოლოგიები | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ |
| ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაცია | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | |
| კვლევის მეთოდები | ✓ | ✓ | | ✓ | | |
| ახალი ტექნოლოგიები და საზოგადოებასთან ურთიერთობა | | ✓ | ✓ | ✓ | | |
| ღონისძიების მართვა | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | | |
| მულტიმედია | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | | |
| ბიზნესგეგმის შედგენა და ფინანსების მართვა | ✓ | ✓ | ✓ | | ✓ | |
| საჯარო გამოსვლა და წერითი ოსტატობა | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | | |
| სოციალურ საკითხებზე კამპანიის წარმოება | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | | ✓ |
| სასწავლო პრაქტიკა | | ✓ | ✓ | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სადიპლომო | ✓ | ✓ | ✓ | | | ✓ |

<u>სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:</u>

სწავლის შედეგები სწავლების შემდეგი მეთოდების მეშვეობით იქნება მიღწეული:

- ლექცია
- სემინარი / დისკუსია
- სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობა (კითხვა, პროექტების / საშინაო დავალებების მომზადება)
- პრეზენტაციები

<u>დასაქმების სფერო:</u>

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმება შესაძლებელია სახელმწიფო, კერძო ან არასამთავრობო ორგანიზაციების საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტებსა და პრეს-სამსახურებში.

<u>სტუდენტების ცოდნის შეფასების სისტემა:</u>

სტუდენტების ცოდნის შეფასება ხდება შეფასების მრავალკომპონენტიანი სისტემის საფუძველზე და შეესაბამება საქართველოში შეფასების ცენტრალური სისტემით დადგენილ ხუთი სახის დადებით შეფასებას:

A - ფრიადი – 91-100%
B - ძალიან კარგი – 81-90%
C - კარგი – 71-80%

D - დამაკმაყოფილებელი – 61-70%
E - საკმარისი – 51-60%
FX - ვერ ჩააბარა – 41-50%
F - ჩაიჭრა - 40% და ნაკლები

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რეგულაციის თანახმად, სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის შემადგენელი ნაწილია საშუალო მაჩვენებლის (GPA) გამოანგარიშება, რომლის გადალახვის მინიმალურ ზღვარს წარმოადგენს 2.5 ქულა:

A = 4
B = 3,2
C = 2,4
D = 1,6
E = 0,8

<u>ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ</u>

სამაგისტრო პროგრამის აკადემიური პერსონალი და მოწვეული პროფესურა გამოირჩევა მაღალი კვალიფიკაციით, როგორც ღრმა თეორიული ცოდნით, ასევე პრაქტიკული გამოცდილებით. აკადემიური პერსონალის დიდ ნაწილს მიღებული აქვს განათლება დასავლეთის წამყვან უნივერსიტეტებში, ისინი აქტიურად იყენებენ სწავლების თანამედროვე მეთოდიკას.

სწავლების პროცესში სტუდენტები სისტემატურად იყენებენ ყველა საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებას: ახალი ამბების მულტიმედიური ცენტრი, , რადიო GIPA – FM 94,3, Frontline საქართველო

**სასწავლო გეგმა:**

| # | პროგრამის დასახელება და საგნის კოდი | | საგანი | ლექტორის სახელი და გვარი | საგნის სტატუსი კრედიტების განაწილება | საკონტაქტო საათების რაოდენობა | დამოუკიდებლად სამუშაო საათების რაოდენობა | საათების საერთო რაოდენობა | კრედიტების რაოდენობა | კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | I | II | III | IV |
| 1 | PR 210 | Mcom700 | საზოგადოებრივი აზრი | ნინო დანელია | ძირითადი | 30 | 95 | 125 | 5 | X | | | |
| 2 | PR 210 | Mgt700 | ზოგადი მენეჯმენტი | ნინო შოშიტაიშვილი | არჩევითი | 39 | 86 | 125 | 5 | X | | | |
| | PA110 | Mgt516 | პროექტების მართვა | | არჩევითი | 30 | 95 | 125 | | X | | | |
| 3 | PR 210 | PR701 | საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლები | ელდარ პირმისაშვილი | ძირითადი | 54 | 121 | 175 | 7 | X | | | |
| 4 | PR 210 | Mgt701 | მარკეტინგის საფუძვლები და რეკლამა | გიორგი ბარკალაია | ძირითადი | 39 | 111 | 150 | 6 | X | | | |
| 5 | PR 210 | Mcom701 | კომუნიკაციის ფსიქოლოგია | ზურაბ მხეიძე | ძირითადი | 30 | 95 | 125 | 5 | | X | | |
| 6 | PR 210 | Mcom702 | კომუნიკაციის თეორია | თინათინ ზურაბიშვილი | ძირითადი | 39 | 111 | 150 | 6 | | X | | |
| 7 | PR 210 | PR702 | საზოგადოებასთან ურთიერთობის | თორნიკე გურული | ძირითადი | 54 | 121 | 175 | 7 | | X | | |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ტექნოლოგიები | | | | | | | | | | |
| 8 | PR210 | Mgt702 | ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაცია | გიორგი ბარკალაია | ძირითადი | 48 | 102 | 150 | 6 | | X | | |
| 9 | PR210 | Res700 | კვლევის მეთოდები | ბაადურ კოპლატაძე | ძირითადი | 54 | 121 | 175 | 7 | | X | | |
| 10 | PR210 | Jour700 | ახალი ტექნოლოგიები და საზოგადოებასთან ურთერთობა | ალექსანდრე ასათიანი | ძირითადი | 39 | 111 | 150 | 6 | | X | | |
| 11 | PR210 | Mgt703 | ღონისძიების მართვა | თორნიკე გურული | ძირითადი | 39 | 111 | 150 | 6 | | | X | |
| 12 | PR210 | Jour701 | მულტიმედია | ლეილა ბლაგონრავოვა | ძირითადი | 39 | 111 | 150 | 6 | | | X | |
| 13 | PR210 | Mgt704 | ბიზნესგეგმის შედგენა და ფინანსების მართვა | გიორგი თურქია | ძირითადი | 39 | 111 | 150 | 6 | | | X | |
| 14 | PR210 | Mcom703 | საჯარო გამოსვლა და წერითი ოსტატობა | თინათინ ცომაია | ძირითადი | 39 | 111 | 150 | 6 | | | X | |
| 15 | PR210 | PR704 | სოციალურ საკითხებზე კამპანიის წარმოება | თინათინ ცომაია | ძირითადი | 36 | 89 | 125 | 5 | | | | X |
| 16 | PR210 | PR703 | პრაქტიკული ნიმუშების ანალიზი | ელდარ პირმისაშვილი | არჩევითი | 36 | 89 | 125 | 5 | | | | X |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | PR210 | PR706 | სასწავლო პრაქტიკა | | არჩევითი | | | | | | | | X |
| | | | | | | | | | | | | | |
| 17 | | | სადიპლომო ნაშრომი | | ძირითადი | | | | 26 | | | | X |
| | | | | | | | | სულ | 120 | | | | |

## სამართლის და პოლიტიკის სკოლა

## სკოლის შესახებ

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) სამართლისა და პოლიტიკის სკოლა (SLP) საბოლოო სახით 2007 წელს ჩამოყალიბდა, როდესაც მასში ინსტიტუტში არსებული სამართლისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამები გაერთიანდა. ამ ფაქტს საფუძველი ჩაუყარა GIPA-ში 2005 წელს პირველი ინგლისურენოვანი სამართლისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამების შექმნამ.

SLP-ს მთავარი მიზანი ისეთი დიპლომატების, იურისტების, სახელმწიფო მოღვაწეების, მმართველებისა და საზოგადოებრივად აქტიური ადამიანების აღზრდაა, რომელთა მთავარ ამოცანას ლიბერალური დემოკრატიის ღირებულებების დანერგვა და სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცება წარმოადგენს, და ვისი საქმიანობაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში.

სამართლისა და პოლიტიკის სკოლაში არსებული სწავლების პრინციპები და მეთოდოლოგია კონკურენტულ გარემოს ქმნის, რაც მიზნად ისახავს მაგისტრთა სათანადო მომზადებას მომავალი წარმატებული კარიერისათვის. სკოლაში მოქმედებს თავისუფალი არჩევითი საგნების სისტემა და (კონცენტრაციის) მიმართულებები, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს აქტიური მონაწილეობა მიიღონ სასწავლო პროცესის დაგეგმვაში.

მიუხედავად იმისა, რომ სამართლისა და პოლიტიკის სკოლის ორივე პროგრამა მხოლოდ ექვსი წლის წინ შეიქმნა, სკოლას კურსდამთავრებულთა დასაქმების მეტად მაღალი მაჩვენებელი აქვს. ეს მიღწევა ორი გარემოებითაა განპირობებული: კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობით (რომელიც ემყარება სკოლაში მათ მიერ შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს) და კურსდამთავრებულთა ახალი კონტაქტებით (რომელშიც შედიან სკოლაში შეძენილი მეგობრები და სკოლის პროფესურა და ლექტორები, რომლებიც კურსდამთავრებულებს ეხმარებიან საჭირო ინფორმაციითა და რეკომენდაციებით). ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულებზე მოთხოვნა მაღალია, როგორც სახელმწიფო ასევე კერძო სექტორში. შესაბამისად, მიმდინარე წლისთვისაც კი ჩვენი ყოფილი სტუდენტების დასაქმების მაჩვენებელი 87%-ს აღწევს.

**სკოლა გთავაზობთ ორ სამაგისტრო პროგრამას:**

- საერთაშორისოურთიერთობები
- საერთაშორისო სამართალი

**საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამა**

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის მთავარი მიზანია აღზარდოს სამართლის საერთაშორისო პრაქტიკასა და ლიბერალურ დემოკრატიულ ფასეულობებზე დაფუძნებული ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი პროფესიონალები

პროგრამა იძლევა ღრმა თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას საერთაშორისო სამართლის სხვადასხვა მიმართულებით და ავითარებს სამართლებრივი კაზუსების შეფასებისა და ანალიზის უნარს.

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის ლექტორთა უმრავლესობას დასავლური განათლება აქვს მიღებული და საკუთარ სფეროში აქტიურად მოღვაწე ადამიანები არიან. სასწავლო მეთოდიკა და მასალა ეფუძნება ამერიკული და ევროპული სკოლების გამოცდილებას, რაც სასწავლო პროცესის განმავლობაში თეორიული ცოდნისა და პრაქტიკის ერთობლიობას ითვალისწინებს. სკოლის მიზანია საქართველოში დანერგოს საზღვარგარეთის წამყვან უნივერსიტეტებში აპრობირებული სასწავლო მეთოდები და დასავლური გამოცდილება ქართულ რეალობას მიუსადაგოს.

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამა ორწლიანია და ოთხი სემესტრისაგან შედგება. ყოველი აკადემიური წელი იწყება სექტემბერში. სავალდებულო და არჩევითი საგნების გავლის შემდეგ სტუდენტები მუშაობენ სადიპლომო ნაშრომზე.

**საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა**

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს უსაფრთხოების, საერთაშორისო განვითარებისა და დიპლომატიის საკითხები, თეორიულ ცოდნასთან ერთად განუვითაროს ანალიტიკური აზროვნების უნარი.

პროგრამაში დასაქმებულნი არიან მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების კურსდამთავრებული პროფესორ-მასწავლებლები და ცნობილი ქართველი სპეციალისტები. სასწავლო მეთოდიკა და მასალა ეფუძნება საერთაშორისო ურთიერთობების ამერიკული სკოლის გამოცდილებას, რაც ითვალისწინებს სასწავლო პროცესში როგორც თეორიული ცოდნის, ასევე პრაქტიკაში გამოსადეგი უნარ-ჩვევების ათვისებას. სწორედ ამ მიზნით ლექტორთა შერჩევის დროს ყურადღება ექცევა არა მხოლოდ მათ აკადემიურ ცოდნას, არამედ პრაქტიკულ გამოცდილებას საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში. პროგრამა დაარსებიდან მოყოლებული წარმატებით ნერგავს ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებში (იელი, ტაფტი, ჰარვარდი, ჯონს ჰოპკინსი) აპრობირებულ სასწავლო მეთოდებს და დასავლურ გამოცდილებას ქართულ რეალობას უსადაგებს.

პროფესურისა და მოწვეული კვალიფიციური ლექტორების დახმარებით პროგრამა სტუდენტებს მრავალმხრივ განათლებას სთავაზობს და საშუალებას აძლევს გაეცნონ პოლიტოლოგიის, დიპლომატიისა და სამხედრო სტრატეგიის ხელოვნების, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალურ საკითხებს. პროგრამა ორიენტირებულია საერთაშორისო ურთიერთობების ორ მნიშვნელოვან მიმართულებაზე (კონცენტრაციაზე): საერთაშორისო უსაფრთხოება და საერთაშორისო განვითარება. საერთაშორისო უსაფრთხოების ან საერთაშორისო განვითარების განხრით სწავლის გაგრძელება მაგისტრანტებს საშუალებას მისცემს მეტი ყურადღება დაუთმონ მათთვის საინტერესო ასპექტის სიღრმისეულ შესწავლას. შესაბამისად, კურსდამთავრებულებს გააჩნიათ ცოდნა რათა იმუშაონ როგორც უსაფრთხოების მიმართულებით (მაგალითად, თავდაცვის სამინისტროში ან ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატში) ასევე განვითარების მიმართულებით (მაგალითად ეკონომიკის სამინისტროში ან რომელიმე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტში). კურსის დასრულებისას სტუდენტები უნდა იყვნენ არა მხოლოდ კონკურენტუნარიანნი თავიანთ სფეროში რათა შეძლონ დასაქმება, არამედ უნდა შეეძლოთ დამოუკიდებლად აზროვნება და ქმედება და გაცნობიერებული ჰქონდეთ თავიანთი ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ქვეყნის სამომავლო განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

საერთაშორისო სამართლის პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

საერთაშორისო სამართლის მაგისტრი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით:

120 კრედიტი

სწავლების ენა:

ინგლისური

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:

მაგისტრატურა

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:

აკადემიური

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სამაგისტრო პროგრამა შექმნილია იმისათვის, რომ მოამზადოს ბაკალავრისშემდგომი დონის სპეციალისტი, რომელიც აღჭურვილია პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევისათვის საჭირო უნარ-ჩვევებით.
სამართლისა და პოლიტიკის სკოლის საერთაშორისო სამართლის პროგრამა მიზნად ისახავს აღზარდოს სამართლის საერთაშორისო პრაქტიკასა და დემოკრატიულ ფასეულობებზე დაფუძნებული ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი პროფესიონალები.

<u>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:</u>

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია იმ პირთათვის, რომლებსაც უკვე მიღებული აქვთ საბაზისო განათლება სამართალში და სურთ გაიღრმავონ ცოდნა საერთაშორისო სამართლის სხვადასხვა მიმართულებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს: 1) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი სამართლის სფეროში; 2) ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ზღვარის წარმატებით გადალახვა; 3) სწავლება მიმდინარეობს ინგლისურ ენაზე, რაც აბიტურიენტებისგან ინგლისური ენის სრულყოფილ ცოდნას.

<u>სწავლის შედეგები:</u>

| კომპეტენციები | ზოგადი | დარგობრივი |
|---|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | აქვს სპეციალიზაციის სფეროს სისტემური, სიღრმისეული ციდნა, რაც აისახება ქვედარგის სტრუქტურის, ინსტიტუტებისა და სპეციალიზაციის საგნების ცოდნაში. დარგის ცოდნა საშუალებას იძლევა ახლებურად იქნას დანახული დარგთან დაკავშირებული მიმდინარე საკითხები.მაგისტრს შეუძლია განიხილოს ეს მოვლენები ანალიტიკურად და მრავალმხრივი პერსპექტივით. შეუძლია პარალელების გავლება სხვადასხვა სფეროებს შორის. | მაგიტრს გააჩნია კომბინირებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა (განათლება) სამართლის სხვადასხვა სფეროებში. სასწავლო პროცესის განმავლობაში მაგისტრი ეუფლება ქართული, უცხო ქვეყნების ეროვნული და საერთაშორისო შეთანხმებებით ჩამოყალიბებული სამართლებრივი სისტემების თავისებურებებსა და მოდელებს, ასევე ამ სამართლებრივი სისტემების დინამიური განვითარებისა და მიმდინარეობის პროცესს, რაც უზრუნველყოფილია სასამართლო პრაქტიკისა და სხვა პრაქტიკული მაგალითების ილუსტრირებით.<br><br>შედარებითი განათლების პრინციპებზე დაწყობილი საგანმანათლებლო პროცესის საფუძველზე მიღებული ცოდნით |

| | | |
|---|---|---|
| | | მაგისტრი აფართოებს სამართლებრივი კულტურის თვალსაწიერს და იძენს სხვადასხვა სამართლებრივი დასაბუთებისა და არგუმენტაციის ხერხებს.<br><br>სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის გათვალისწინებით, მაგისტრი იძენს სიღრმისეულ ცოდნას საერთაშორისო სამართლის სხვადასხვა სფეროებში და ამ სფეროებისათვის დამახასიათებელ ინსტიტუციურ ასპექტებში. ასევე მაგისტრს ძალუძს რთული სამართლებრივი ტექსტების წაკითხვა და მათი სწორი გაანალიზება.<br><br>სამაგისტრო პროგრამის განმავლობაში მაგისტრი იღებს ინგლისური ენის (მათ შორის იურიდული ინგლისურის) კარგ ცოდნას, რაც მას შესაძლებლობას აძლევს აღნიშნულ ენაზე აწარმოოს იურიდიული საქმიანობა. |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | სწავლისას მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე მაგისტრი შეძლებს მის პრაქტიკაში გამოყენებასა და დანერგვას. აქვს ახალი იდეების გენერირების უნარი. მაგისტრს შეუძლია დროის/რესურსის სიმცირის პირობებშიც ადეკვატური და ეფექტური გზები მონახოს პრობლემატური სიტუაციის გადასაჭრელად; შეუძლია უცხო გარემოში ადაპტირება და შესაბამისი ქმედებების განხოციელება. სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა კვლევით კომპონენტს, რაც მაგისტრს აძლევს კვლევის მაღალ დონეზე ჩატარებისთვის საჭირო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. | მაგისტრს უნარი აქვს მიღებული განათლება გამოიყენოს პრაქტიკაში. მიღებული პრაქტიკული ცოდნისა და თვისებების წყალობით მაგისტრს შეუძლია პრაქტიკაში დამოუკიდებლად გადაწყვიტოს რთული და კომპლექსური სამართლებრივი საკითხები, შეადგინოს სხვადასხვა სამართლებრივი დოკუმენტები (მათ შორის ხელშეკრულებები და შეთანხმებები), და გასცეს პრაქტიკული იურიდიული რჩევები.<br><br>ინგლისური ენის კარგი ცოდნის წყალობით მაგისტრს შეუძლია იმუშაოს საერთაშორისო გარემოში. ამავდროულად, შედარებითი სამართლებრივი განათლება მას დაეხმარება კარგად გაიგოს, აღიქვას და გაანალიზოს სხვა იურისდიქციის სამართლებრივი საკითხები და მოახდინოს მათი ადაპტირება ქართულ იურიდიულ სივრცესთან. აღნიშნული ასევე გაუადვილებს მაგისტრს თავისუფლად იმუშაოს არა მხოლოდ ქართულ არამედ უცხოურ იურიდულ და ფიზიკურ პირებთან. შეძენილი ცოდნის გამოყენებით მაგისტრს უნარი აქვს მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო და მრავალიურისდიქციის მქონე სამართლებრივ |

| | | |
|---|---|---|
| | | პროექტებში, მოამზადოს აღნიშნულ პროექტებთან დაკავშირებით სხვადასხვა მემორანდუმები და სამართლებრივი დასკვნები.<br><br>რთულ და კომპლექსურ სამართლებრივ ტექსტებთან მუშაობის შედეგად მაგისტრს უყალიბდება ტექსტების კვლევისა და ანალიზის უნარი, რაც შეუძლია წარმატებით გამოიყენოს პრაქტიკაში. |
| დასკვნის უნარი | მაგისტრი ფლობს პრობლემის ამოცნობისა და მისი ჩამოყალიბების უნარს, შეუძლია პრობლემის გადაწყვეტის ეფექტური გზის შერჩევა და საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთება. მაგისტრს შეუძლია სხვადასხვა წყაროდან (თუნდაც არასრული) ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და დასაბუთებული დასკვნის გაკეთება. მაგიsტრი აღჭურვილია მის გარშემო მიმდინარე მოვლენებისა და მონაცემების ანალიზის უნარით. შეუძლია მათი სინთეზურად განსჯა. | მაგისტრს გააჩნია ფაქტებიდან სამართლებრივად მნიშვნელოვანი და რელევანტური საკითხების იდენტიფიცირების, ანალიზისა და დასაბუთებული სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღების უნარი. სწავლისას მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე მაგისტრს შეუძლია სამართლებრივი პრობლემის მრავალმხრივი დანახვა, სხვადასხვა სამართლებრივი არგუმენტებისა და ალტერნატივების განხილვა და საკუთარი მოსაზრების არგუმენტირებულად ჩამოყალიბება. მაგისტრს შესაძლებლობა ექნება ასევე ზუსტად და სწორად განახორციელოს სამართლებრივი სუბსუმფციის პროცესი და მოახდინოს შესაბამისი სამართლებრივი კონცეფციის შეფარდება მოცემულ ფაქტობრივ გარემოებებთან. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, მაგისტრი შეძლებს კომპლექსური იურიდიული ნაშრომების გაანალიზებას, რთული სასამართლო გადაწყვეტილებების გაგებას და აღნიშნული გადაწყვეტილებიდან შესაბამისი სამართლებრივი წინადადების (ratio decidendi) ჩამოყალიბებას, ასევე მეცნიერულად დასაბუთებული პოზიციის გამოყოფასა და კომპეტენტური დასკვნის გაკეთებას. |
| კომუნიკაციის უნარი | მაგისტრს შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ | საერთაშორისო სამართლის პროგრამა ინგლისურენოვანია. |

| | | |
|---|---|---|
| | საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით მშობლიურ და უცხო ენებზე გადასცეს საკუთარი დასკვნები და არგუმენტები. შეუძლია ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული ინფორმაციის დამოუკიდებლად დამუშავება. პროგრამის სასწავლო ფორმატი მაგისტრს უყალიბებს გუნდში ნაყოფიერი მუშაობის უნარ-ჩვევას. | შესაბამისად, მაგისტრები შეძლებენ იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ინგლისურ ენაზე წერილობითი თუ ზეპირი ფორმით კომუნიკაციის წარმოებას. სწავლისას მიღებული გამოცდილება მაგისტრს აძლევს შესაძლებლობას დასმული საკითხი არა მარტო იურისტთა, არამედ ინტერდისციპლინურ გუნდშიც განიხილოს, რადგანაც მას აქვს სამართლებრივი საკითხების ადვილად აღსაქმელი ფორმით ჩამოყალიბებისა და გადმოცემის უნარი. მიღებული ცოდნა და გამოცდილება მაგისტრს დაეხმარება გააზრებული და კომპეტენტური სამართლებრივი გადაწყვეტილების ჩამოყალიბებაში, მისი სისწორისა და ადეკვატურობის მისაღები ფორმით გადმოცემაში. მაგისტრი ფლობს კრიტიკული შენიშვნების ჩამოყალიბებისა და განსახილველი საკითხების გარშემო დებატებში ჩაბმის უნარს. მას შეუძლია კრიტიკულად შეაფასოს არსებული პოზიცია, შეიმუშავოს განსხვავებული შეხედულება და დაიცვას იგი. შეუძლია სამართლებრივი პრობლემის გადასაწყვეტად სამართლის ყველა შესაბამისი წყაროს მოძიება, განმარტება და გამოყენება, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე. |
| **სწავლის უნარი** | მაგისტრს შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, ავლენს სწავლის პროცესის თავისებურების გაცნობიერებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მაღალ დონეს. სწავლის პროცესის დროს გამოყენებული მეთოდიკა უვითარებს სტუდენტს სისტემური ანალიზის უნარს, აჩვევს რეგულარულ მუშაობას როგორც სახელმძღვანელოებთან (ქართულ და უცხოურ ენებზე), ასევე პროფესორ-მასწავლებლებთან და ჯგუფთან. | მაგისტრს აქვს დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით პროფესიული ზრდისკენ სწრაფვა, რაც გულისხმობს, როგორც პრაქტიკული გამოცდილების გაღრმავებას, ასევე სამეცნიერო საქმიანობის წარმოებას. აქვს საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის და მეცნიერული სიახლეების მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი. შეუძლია დამოუკიდებლად გაიფართოვოს ცოდნა საერთაშორისო სამართლის სფეროში არსებულ სიახლეებზე დაყრდნობით. საერთაშორისო სამართლის მაგისტრს შეუძლია სწავლა განაგრძოს სადოქტორო პროგრამაზე და დაკავდეს აკადემიური საქმიანობით. |
| **ღირებულებები** | აფასებს თავის და სხვების დამოკიდებულებას | მაგისტრი იცნობს და გათავისებული აქვს იურისტის |

| | | |
|---|---|---|
| | ღირებულებებისადმი და პასუხისმგებლობით იცავს პროფესიული საქმიანობის ეთიკის ფარგლებს. გააჩნია განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის უნარი. მაგისტრს აქვს სოციალური პასუხილმგებლობითა და სამოქალაქო თვითშეგნებით მოქმედების უნარი. სრულად გაცნობიერებული აქვს თანაბარი შესაძლებლობებისა და გენდერული საკითხების მნიშვნელობა. | საქმიანობის ეთიკის ნორმები. სამეცნიერო თუ პრაქტიკულ საქმიანობაში ის ითვალისწინებს საზოგადოებრივ ინტერესებსა და ღირებულებებს. იგი აცნობიერებს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორების თავისებურებებს და გადაწყვეტილების მიღებისას ეყრდნობა დემოკრატიულ ფასეულობებს. ნებისმიერი საქმიანობის განხორციელებისას მაგისტრი, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის პრინციპების დაცვას. იგი მოქმედებს სამართლიანობის გათვალისწინებით; სრულად აცნობიერებს საკუთარ თავზე აღებულ პასუხისმგებლობას, მოქმედებს კეთილსინდისიერად და ორიენტირებულია წარმოდგენილ პირთა ინტერესების დაცვაზე; საჭიროების შემთხვევაში, წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების ფორმირებაში. |

| | ცოდნა/გაცნობიერება | პრაქტიკაში გამოყენება | დასკვნის უნარი | კომუნიკაცია უნარი | სწავლის უნარი | ღირებულებები |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისური ენა იურისტთათვის | √ | √ | | ✓ | √ | |
| სამართლებრივი მართლწერა | ✓ | ✓ | | ✓ | ✓ | |
| საერთაშორისო სისხლის სამართალი | ✓ | ✓ | ✓ | | ✓ | |
| შედარებითი კონსტიტუციური სამართალი | ✓ | | ✓ | ✓ | | √ |
| ადამიანის უფლებებათა დაცვის საერთაშორისო | ✓ | ✓ | ✓ | | | ✓ |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამართალი | | | | | | |
| შედარებითი ხელშეკრულებითი სამართალი | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | |
| საერთაშორისო საჯარო სამართალი | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | |
| საერთაშორისო სავაჭრო სამართალი | ✓ | ✓ | ✓ | | ✓ | ✓ |
| საერთაშორისო სამეწარმეო სამართალი | ✓ | ✓ | ✓ | | ✓ | |
| საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი | ✓ | | ✓ | | | ✓ |
| შედარებითი სისხლის სამართლებრივი იუსტიცია | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | | |
| კორპორატიული მართვა | ✓ | ✓ | ✓ | | | |
| საერთაშორისო ბიზნეს გარიგებები | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | | |
| ევროკავშირის სამართალი | ✓ | ✓ | ✓ | | | |
| ინტელექტუალური საკუთრების სამართალი | ✓ | ✓ | ✓ | | | ✓ |
| საერთაშორისო საინვესტიციო სამართალი | ✓ | ✓ | | ✓ | | |
| ჯანდაცვის საერთაშორისო სამართალი | ✓ | | ✓ | | ✓ | ✓ |
| საერთაშორისო | ✓ | ✓ | | | ✓ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კერძო სამართალი | | | | | | |
| სადიპლომო ნაშრომი | ✓ | | ✓ | √ | ✓ | |

<u>სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:</u>

სწავლის შედეგების მისაღწევად საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამა იყენებს სხვადასხვა მეთოდს სტუდენტთათვის სასურველი კონპეტეციების გამოსამუშავებლად. ყოველი კურსი მიმდინარეობს ლექცია/სემინარის ფორმატით, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინტერაქტივს. საგნების უმრავლესობა მოიცავს ისეთ სწავლების კომპონენტებს, როგორიცაა პრეზენტაციებისა და ანალიტიკური ნაშრომების წარდგენა, რაც სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის აუცილებლობას ითვალისწინებს. გამოყენებულია ჯგუფური მუშაობის პრინციპიც, რასაც იმიტირებული სასამართლო პროცესების და ჯგუფური პროექტების განხორციელება უწყობს ხელს. სამუშაო პრაქტიკა, რომლის ხელშეწყობაც საერთაშორისო სამართლის პროგრამის სტუდენტებისთვის ხორციელდება, აძლევს მათ საშუალებას სწავლისას მიღებული ცოდნა პრაქტიკაში გამოყენონ. სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა კვლევით კომპონენტს, ყოველი სტუდენტისთვის სავალდებულოა სადიპლომო თემაზე მუშაობა და მისი დაცვა, რაც მაგიტრანტს აძლევს კვლევის სათანადო დონეზე ჩატარებისა და კომუნიკაციის ცოდნასა და უნარ-ჩვევებს.

<u>დასაქმების სფერო:</u>

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ მიღებული ცოდნა გამოიყენონ, როგორც კერძო ასევე, სახელმწიფო და საერთაშორისო სტრუქტურებში. პროგრამა იძლევა ღრმა თეორიულ ცოდნას, ისევე როგორც პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც კურსდამთავრებულებს აძლევს შესაძლებლობას აწარმოონ კვლევა ან პრაქტიკა საერთაშორისო სამართლის სხვადასხვა მიმართულებით.

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს შეეძლებათ სახელმწიფო სასერტიფიკატო გამოცდის ჩაბარება, რომელიც სავალდებულოა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მისაღებად, ასევე ადვოკატისა და პროკურორის თანამდებობის დასაკავებლად.

<u>სტუდენტების ცოდნის შეფასების სისტემა:</u>

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამას აქვს სტუდენტების ცოდნის შეფასების მრავალკომპონენტიანი სისტემა, რაც განპირობებულია  შუალედური კომპონენტებისა და დასკვნითი გამოცდის ქულებით. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოში შეფასების ცენტრალური სისტემით დადგენილ ხუთი სახის დადებით შეფასებას:

A ფრიადი – 91-100%
B ძალიან კარგი – 81-90%
C კარგი – 71 – 80%
D დამაკმაყოფილებელი – 61 – 70%
E საკმარისი - 51 – 60%
FX ვერ ჩააბარა - 41 – 50%
F ჩაიჭრა - 40% და ნაკლები

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის შემადგენელი ნაწილია საშუალო მაჩვენებლის (GPA) გამოანგარიშება, რომლის გადალახვის მინიმალურ ზღვარს წარმოადგენს 2.5 ქულა:

A = 4
B = 3, 2
C = 2, 4
D = 1, 6
E = 0, 8

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკადემიური პერსონალი და მოწვეული პროფესურა გამოირჩევა მაღალი კვალიფიკაციით, რაც შეიძლება დადგინდეს მათი აკადემიური ხარისხით, მიღებული განათლებით და პროფესიული გამოცდილებით. პროგრამაში კონცენტრირებული დარგების საუკეთესო სპეციალისტები იყენებენ სწავლების დასავლურ მეთოდიკას და სტუდენტებს უზიარებენ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში მიღებულ გამოცდილებას.

პროგრამის სასწავლო გეგმა:

| საგნის კოდი | საგანი | საგნის სტატუსი | კრედიტების დაანგარიშება | კრედიტების რაოდენობა | კრედიტების განაწილება | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | სემესტრები | | | |
| | | | | | I | II | III | IV |
| **eng503** | ინგლისური ენა იურისტთათვის | ძირითადი | 27 - 90 | 5 | ✓ | | | |
| **law501** | სამართლებრივი მართლწერა | ძირითადი | 27- 90 | 5 | | ✓ | | |
| **law670** | საერთაშორისო სისხლის სამართალი | ძირითადი | 36- 96 | 6 | | ✓ | | |
| **law600** | შედარებითი კონსტიტუციური სამართალი | ძირითადი | 45 -90 | 6 | | ✓ | | |
| **law505** | ადამიანის უფლებებათა დაცვის საერთაშორისო სამართალი | ძირითადი | 42 – 110 | 6 | ✓ | | | |
| **law519** | საერთაშორისო საჯარო სამართალი | ძირითადი | 39-100 | 6 | ✓ | | | |
| **law525** | შედარებითი ხელშეკრულებითი სამართალი | ძირითადი | 48 -96 | 6 | | ✓ | | |
| **law660** | საერთაშორისო სავაჭრო სამართალი | ძირითადი | 42 -100 | 6 | | | ✓ | |
| **law610** | საერთაშორისო სამეწარმეო სამართალი | ძირითადი | 42-100 | 6 | | | ✓ | |
| **law615** | საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი | არჩევითი | 39-100 | 6 | | | ✓ | |
| **law675** | შედარებითი სისხლის სამართლებრივი მართლმსაჯულება | არჩევითი | 30-80 | 5 | | | | ✓ |
| **mgt540** | კორპორაციული მართვა | არჩევითი | 36 -80 | 5 | | | | ✓ |
| **law740** | საერთაშორისო ბიზნეს გარიგებები | არჩევითი | 42-80 | 5 | | | | ✓ |
| **law760** | ევროკავშირისა სამართალი | არჩევითი | 39- 80 | 6 | | | | ✓ |
| **law620** | ინტელექტუალური საკუთრების სამართალი | არჩევითი | 30 -90 | 5 | | | | ✓ |
| **law640** | სართაშორისო საინვესტიციო სამართალი | არჩევითი | 36- 90 | 5 | | ✓ | | |
| **law630** | ჯანდაცვის სამართალი | არჩევითი | 30 -100 | 5 | | | ✓ | |
| **law650** | საერთაშორისო კერძო სამართალი | ძირითადი | 36 - 108 | 6 | | | | ✓ |
| | სამაგისტრო თემა | ძირითადი | | 20 | | | | ✓ |

სკოლის არჩევითი საგნები (რეკომენდირებული):

| საგნის კოდი | საგანი | საგნის სტატუსი | კრედიტების დაანგარიშება | კრედიტების რაოდენობა | კრედიტების განაწილება | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | სემესტრები | | | |
| | | | | | I | II | III | IV |
| **Res504** | კვლევის მეთოდები | არჩევითი | 36-90 | 5 | | ✓ | | |
| **IR505** | შესავალი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში | არჩევითი | 45-105 | 6 | ✓ | | | |
| **IR507** | საგარეო პოლიტიკის ანალიზი | არჩევითი | 39-105 | 6 | | ✓ | | |
| **Econ500** | საერთაშორისო განვითარება | არჩევითი | 36-110 | 5 | | | | ✓ |
| **Econ525** | ეკონომიკის საწყისები | არჩევითი | 42-100 | 6 | ✓ | | | |
| **Econ615** | საერთაშორისო ეკონომიკა | არჩევითი | 41-105 | 6 | | | | ✓ |

## უნივერსიტეტის არჩევითი საგნები (რეკომენდირებული):

| საგნის კოდი | საგანი | საგნის სტატუსი | კრედიტების დაანგარიშება | კრედიტების რაოდენობა | კრედიტების განაწილება | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | სემესტრები | | | |
| | | | | | I | II | III | IV |
| **Mgt530** | ორგანიზაციული კომუნიკაცია | არჩევითი | 30 - 90 | 5 | ✓ | | | |
| **Mgt521** | ადამიანური რესურსების მართვა | არჩევითი | 30-60 | 4 | ✓ | | | |
| **PP503** | თანამედროვე საჯარო მმართველობა | არჩევითი | 40 - 100 | 6 | | ✓ | | |
| **PP750** | საჯარო ფინანსები/საგადასახადო პოლიტიკა | არჩევითი | 40-100 | 6 | | ✓ | | |
| **Media848** | საჯარო გამოსვლები/ლიდერობა | არჩევითი | 40-100 | 6 | | ✓ | | |
| | | | | | | | | |

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით:

120 კრედიტი

სწავლების ენა:

ქართული

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:

მაგისტრატურა

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:

აკადემიური

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის მიზანია აღზარდოს პროფესიონალი დიპლომატები, სახელმწიფო მოხელეები, აღნიშნული სფეროს მკვლევარები, რომელთა მთავარ ამოცანას ლიბერალური დემოკრატიის ღირებულებების გათვალისწინებით ქვეყნისა და საზოგადოების პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების ხელისშეწყობა წარმოადგენს.

<u>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:</u>

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია იმ პირთათვის, რომლებსაც უკვე მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება ნებისმიერ სფეროში და სურთ გაიღრმავონ ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს: 1) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ნებისმიერ სფეროში; 2) ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ზღვრის გადალახვა;

<u>სწავლის შედეგები:</u>

| | | |
|---|---|---|
| ცნობა და გაცნობიერება | დარგის თეორიულად ღრმად შესწავლა სოციალური მეცნიერებების ახლებურად გააზრების საშუალებას იძლევა. შესაბამისად მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ანალიზი და მიდგომა პროფესიონალურ დონეზე ხდება. | დარგის შესწავლა და გაცნობიერება საშუალებას იძლევა საერთაშორისო ურთიერთობების ყველაზე მნიშვნელოვან საკითხები სიღრმისეულად იქნას განხილული, მაგალითად დიპლომატიისა და ომის ხელოვნება, სახელმწიფოს პოლიტიკური მოდელები და ეკონომიკური განვითარება. სფეროს შესახებ ზოგადი თეორიული ცოდნის ფლობის შედეგად შესაძლებელია დარგის კონკრეტული მიმართულებებით შესწავლა უფრო ღრმა კვლევისათვის, |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | დარგის შესწავლის პროცესი ავითარებს ანალიტიკურ უნარ-ჩვევებსა და თეორიული მოდელების კონკრეტულ შემთხვევაზე მორგების უნარს, რაც საბოლოოდ იძლევა საშუალებას ანალიზისა და დასკვნისათვის გამოყენებულ იქნას არა მხოლოდ სხვადასხვა თეორიული მოდელები, | დარგის შესწავლა აიოლებს მომიჯნავე დარგებში ცოდნის ათვისებას, რაც განაპირობებს სამუშაო სფეროს არეალის გაზრდას. დასაქმება შესაძლებელია საერთაშორისო ურთიერთობების, ეროვნული უსაფრთხოებისა და განვითარებასთან დაკავშირებულ სფეროებში - როგორც შესაბამის სახელმწიფო ინსტიტუტებში, საერთაშორისო |

| | | |
|---|---|---|
| | არამედ უკვე პრაქტიკულად გამოცდილი მაგალითები აღნიშნული სფეროდან . | ორგანიზაციებში, კერძო და არასამთავრობო სექტორში. |
| დასკვნის უნარი | დარგის ცოდნა ანვითარებს მოვლენათა შეფასების უნარს, კრიტიკულ, ლოგიკურ აზროვნებას, რაც ობიექტური დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა. | დარგის შესწავლის შედეგად საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებულ მოვლენებს აფასებს კომპეტენტურად. პროფესიონალურად აანალიზებს საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკითხებს. შეუძლია პრაქტიკულად დააკავშიროს ეკონომიკური განვითარებისა და სამხედრო-პოლიტიკური საკითხები. იცნობს დიპლომატიური საქმიანობის ძირითად პრინციპებს და აცნობიერებს ეროვნული ინტერესის ცნებას. |
| კომუნიკაციის უნარი | დანერგილი სასწავლო მეთოდოლოგია აკადემიური პროცესის განმავლობაში ორიენტირებულია ჯგუფურ მუშაობასა და პრეზენტაციების შესრულებაზე, რაც აჩვევს სხვადასხვა ტიპის აუდიტორიასთან ურთიერთობას და ავითარებს როგორც კომუნიკაციის ასევე გადმოცემის უნარს, | დარგში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა საშუალებას იძლევა იოლად დაამყაროს ურთიერთობა როგორც ქართველ ასევე უცხოელ კოლეგებთან, გამართოს დისკუსია პროფესიონალურ დონეზე, ჩაერთოს აკადემიურ თუ პრაქტიკულ საქმიანობაში. |
| სწავლის უნარი | სწორად დაგეგმილი აკადემიური პროცესი ავითარებს რეგულარული და ინტენსიური მუშაობის უნარს, როგორც დამოუკიდებლად მაგალითად სახელმძღვანელოებთან ასევე გუნდში. ეს უნარი განაპირობებს მოტივაციას სწავლის გაგრძელების როგორც აკადემიური ხარისხის მოსპოვებლად ასევე უცხოეთის უნივერსიტეტებში სწავლის გასაგრძელებლად. | მიღებული ცოდნის შედეგად შეუძლია გააგრძელოს დარგის უფრო სიღრმისეული შესწავლა ისეთი მიმართულებებით როგორიცაა მაგალითად სხვადასხვა რეგიონების უსაფრთხოება და განვითარება; საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის უახლესი კონცეფციები; სხვადასხვა სახელმწიფოების საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ანალიზი |
| ღირებულებები | დარგის შესწავლის შედეგად ყალიბდება ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებების ლიბერალურ პრინციპებზე დაფუძნებული | დარგის შესწავლის შედეგად უვითარდება პირველ რიგში პროფესიული ზრდის მოთხოვნილება, საკუთარი პოზიციის დაცვის უნარი, რაც საბოლოოდ , საკუთარი ქვეყნის |

| | | |
|---|---|---|
| | ღირებულებები; | ინტერესების სამსახურში რეალიზდება. |

| | ცოდნა/გაცნობიერება | პრაქტიკაში გამოყენება | დასკვნის უნარი | კომუნიკაცია უნარი | სწავლის უნარი | ღირებულებები |
|---|---|---|---|---|---|---|
| საერთაშორისო ურთიერთობები | √ | √ | √ | √ | √ | √ |
| ეკონომიკის საფუძვლები | √ | √ | √ | | | √ |
| საერთაშორისო ეკონომიკა | √ | √ | √ | | | √ |
| შედარებითი პოლიტიკა | √ | √ | √ | √ | √ | √ |
| საერთაშორისო განვითარება | √ | √ | | √ | √ | |
| საერთაშორისო | √ | √ | √ | √ | | √ |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამართლის შესავალი | | | | | | |
| ეროვნული უსაფრთხოების ანალიზი | √ | √ | √ | | √ | |
| კვლევის მეთოდები | √ | √ | √ | √ | √ | √ |
| დიპლომატიის ისტორია | √ | √ | √ | | | √ |
| დიდი სახელმწიფოების დიპლომატია | √ | | √ | | √ | √ |
| მოლაპარაკებების წარმოების ხელოვნება | | ✓ | | √ | | |
| ომის თეორია და თანამედროვე განვითარება | √ | √ | √ | | √ | |
| საერთაშორისო ტერორიზმი | √ | √ | | | | √ |
| დაზვერვის თეორია და პრაქტიკა | √ | √ | | √ | | √ |
| საგარეო პოლიტიკის ანალიზი | √ | √ | √ | √ | | |
| დიპლომატიური პროტოკოლი | | √ | | √ | | √ |
| სამაგისტრო ნაშრომი | √ | | √ | √ | | |

<u>სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:</u>

სწავლის შედეგების მისაღწევად რასაც განაპირობებს სტუდენტთათვის სასურველი კომპეტენციების გამომუშავება, საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა სხვადასხვა მეთოდს იყენებს. თითოეული სალექციო კურსი მიმდინარეობს ლექცია/სემინარის ფორმატით, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სტუდენტის ჩართულობას აკადემიურ პროცესში. უმეტესი საგნების შეფასების სისტემაში სავალდებულოა პრეზენტაციების, (როგორც ჯგუფური აგრეთვე ინდივიდუალური) ანალიტიკური ნაშრომების, სიმულაციების, იმიტირებული მოლაპარაკებების შესრულება. სწავლების ეს კომპონენტი სტუდენტებს დამოუკიდებელი და ჯგუფური მუშაობის უნარს უვითარებს. საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამა უზრუნველყოფს სამუშაო პრაქტიკის ხელშეწყობას სტუდენტებისთვის, რაც სწავლის დროს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების. შესაძლებლობას იძლევა. სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა კვლევით კომპონენტს, ყოველი სტუდენტისთვის სავალდებულოა სამაგისტრო თემაზე მუშაობა და მისი დაცვა, რაც ერთგვარად ამოწმებს მაგისტრანტის უნარს მიღებული ცოდნის საფუძველზე სათანადო დონეზე ჩაატაროს კვლევა.

<u>დასაქმების სფერო:</u>

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ მიღებული ცოდნა გამოიყენონ, როგორც კერძო ასევე, სახელმწიფო და საერთაშორისო სტრუქტურებში. პროგრამა იძლევა ღრმა თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც კურსდამთავრებულებს აძლევს შესაძლებლობას აწარმოონ კვლევა ან პრაქტიკა საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა მიმართულებით.

<u>სტუდენტების ცოდნის შეფასების სისტემა:</u>

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამას აქვს სტუდენტების ცოდნის შეფასების მრავალკომპონენტიანი სისტემა, რაც განპირობებულია შუალედური კომპონენტებისა და დასკვნითი გამოცდის ქულებით. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოში შეფასების ცენტრალური სისტემით დადგენილ ხუთი სახის დადებით შეფასებას:

A ფრიადი – 91-100%
B ძალიან კარგი – 81-90%
C კარგი – 71 – 80%
D დამაკმაყოფილებელი – 61 – 70%

E საკმარისი - 51 – 60%
FX ვერ ჩააბარა - 41 – 50%
F ჩაიჭრა - 40% და ნაკლები

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის შემადგენელი ნაწილია საშუალო მაჩვენებლის (GPA) გამოანგარიშება, რომლის გადალახვის მინიმალურ ზღვარს წარმოადგენს 2.5 ქულა:

A = 4
B = 3, 2
C = 2, 4
D = 1, 6
E = 0, 8

<u>ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ</u>

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის აკადემიური პერსონალი და მოწვეული პროფესურა გამოირჩევა მაღალი კვალიფიკაციით, რაც შეიძლება დადგინდეს მათი აკადემიური ხარისხით, მიღებული განათლებით და პროფესიული გამოცდილებით. პროგრამაში კონცენტრირებული დარგების საუკეთესო სპეციალისტები იყენებენ სწავლების დასავლურ მეთოდიკას და სტუდენტებს უზიარებენ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში მიღებულ გამოცდილებას.

სასწავლო გეგმა:

| საგნის კოდები | საგანი | საგნის სტატუსი | საკონტაქტო საათების რაოდენობა | კრედიტების რაოდენობა | კრედიტების განაწილება | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | სემესტრები | | | |
| | | | | | I | II | III | IV |
| IR505 | საერთაშორისო ურთიერთობები | ძირითადი | საკონტაქტო საათი 45<br>ინდივიდუალური მუშაობა 105 საათი | 6 | √ | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **Econ525** | ეკონომიკის საფუძვლები | ძირითადი | საკონტაქტო საათი 42 ინდივიდუალური მუშაობა 100 საათი | 6 | √ | | | |
| **Econ615** | საერთაშორისო ეკონომიკა | არჩევითი | საკონტაქტო საათი 41 ინდივიდუალური მუშაობა 105 საათი | 6 | | | | √ |
| **PSc505** | შედარებითი პოლიტიკა | ძირითადი | საკონტაქტო საათი 42 ინდივიდუალური მუშაობა 107 საათი | 6 | | √ | | |
| **Econ500** | საერთაშორისო განვითარება | არჩევითი | საკონტაქტო საათი 36 ინდივიდუალური მუშაობა 110 საათი | 5 | | | | √ |
| **Law515** | საერთაშორისო სამართლის საფუძვლები | ძირითადი | საკონტაქტო საათი 36 ინდივიდუალური მუშაობა 110 საათი | 6 | | | √ | |
| **IR 552** | ეროვნული უსაფრთხოების ანალიზი | არჩევითი | საკონტაქტო საათი 39 ინდივიდუალური მუშაობა 108 საათი | 6 | | | √ | |
| **Res504** | კვლევის მეთოდები | ძირითადი | საკონტაქტო საათი 36 ინდივიდუალური მუშაობა 90 საათი | 5 | | √ | | |
| **IR550** | დიპლომატიის ისტორია | ძირითადი | საკონტაქტო საათი 36 ინდივიდუალური მუშაობა 110 საათი | 6 | √ | | | |
| **IR655** | დიდი სახელმწიფოების დიპლომატია | ძირითადი | საკონტაქტო საათი 36 ინდივიდუალური მუშაობა 110 საათი | 6 | √ | | | |
| **IR 500** | საერთაშორისო მოლაპარაკებების წარმოების ხელოვნება | ძირითადი | საკონტაქტო საათი 36 ინდივიდუალური მუშაობა 90 საათი | 5 | | | √ | |
| **IR650** | ომის თეორია და თანამედროვე განვითარება | ძირითადი | საკონტაქტო საათი 36 ინდივიდუალური მუშაობა 110 საათი | 6 | | √ | | |
| **IR615** | საერთაშორისო | არჩევითი | საკონტაქტო საათი 44 | 6 | | | | √ |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ტერორიზმი | | ინდივიდუალური მუშაობა 100 საათი | | | | | |
| **IR675** | დაზვერვის თეორია და პრაქტიკა | არჩევითი | საკონტაქტო საათი 36 ინდივიდუალური მუშაობა 95 საათი | 5 | | | | √ |
| **IR507** | საგარეო პოლიტიკის ანალიზი | ძირითადი | საკონტაქტო საათი 39 ინდივიდუალური მუშაობა 105 საათი | 6 | | √ | | |
| **IR680** | დიპლომატიური პროტოკოლი | ძირითადი | საკონტაქტო საათი 39 ინდივიდუალური მუშაობა 90 საათი | 5 | | | √ | |
| | სადიპლომო ნაშრომი | ძირითადი | | 30 | | | | √ |

უნივერსიტეტის არჩევითი საგნები (რეკომენდირებული):

| საგნის კოდი | საგანი | საგნის სტატუსი | კრედიტების დაანგარიშება | კრედიტების რაოდენობა | კრედიტების განაწილება | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | სემესტრები | | | |
| | | | | | I | II | III | IV |
| **Law505** | ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართალი | არჩევითი | 39-100 | 6 | √ | | | |
| **Law760** | ევროკავშირის სამართალი | არჩევითი | 39-80 | 6 | | | | √ |
| **Law660** | საერთაშორისო სავაჭრო სამართალი | არჩევითი | 42-100 | 6 | | | √ | |
| **Law740** | საერთაშორისო ბიზნეს გარიგებები | არჩევითი | 42-80 | 5 | | | | √ |
| **Mgt530** | ორგანიზაციული კომუნიკაცია | არჩევითი | 30-100 | 5 | √ | | | |
| **Media847** | საჯარო გამოსვლები/ლიდერობა | არჩევითი | 40-110 | 6 | | √ | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| PP520 | საჯარო პოლიტიკის ანალიზი | არჩევითი | 40-110 | 6 | | √ | | |
| Mgt551 | ადამიანური რესურსების მართვა | არჩევითი | 30-90 | 5 | √ | | | |

საგანმანათლებლო პროგრამის სალექციო კურსების განახორციელებელი აკადემიური პერსონალი

| ლექტორი | საგანი |
|---|---|
| ბაკურ კვაშილავა | შედარებითი პოლიტიკა; საერთაშორისო ურთიერთობები |
| თორნიკე შარაშენიძე | დაზვერვის თეორია და პრაქტიკა; დიპლომატიის ისტორია; დიდი სახელმწიფოების დიპლომატია |
| თენგიზ ფხალაძე | საერთაშორისო მოლაპრაკებების წარმოების ხელოვნება; დიპლომატიური პროტოკოლი |
| რევაზ ბახტაძე | ეროვნული უსაფრთხოების ანალიზი |
| მერაბ კაკულია | საერთაშორისო ეკონომიკა; ეკონომიკა |
| ნატალია არქანია | საერთაშორისო განვითარება |
| ვანო მაჭავარიანი | საგარეო პოლიტიკის ანალიზი |
| დავით სახვაძე | კვლევის მეთოდოლოგია |
| დავით თევზაძე | ომის თეორია და თანამედროვე |

| | |
|---|---|
| | განვითარება |
| დავით ჭოჭუა | საერთაშორისო ტერორიზმი |
| ნინო ხურციძე | საერთაშორისო სამართალი |

## კვლევითი ცენტრი

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ბაზაზე შემქნილი სადოქტორო პროგრამა სოციალური მეცნიერებების სფეროში სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო კვლევების ერთობლიობაა, რომელიც მიზნად ისახავს მაღალკვალიფიციური მეცნიერ - სპეციალისტების და პედაგოგების მომზადებას უმაღლესი სასწავლებლებისათვის და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

**საკონტაქტო პირი:**

მიხეილ ჩაჩხუნაშვილი

mail: misha@gipa.ge

მის: გორგასლის 101, თბილისი

დამტკიცებულია საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის
სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე.
ოქმი #03/12; 19 მარტი, 2012

<u>საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:</u>

სადოქტორო პროგრამა სოციალურ მეცნიერებებში

<u>მისანიჭებელი კვალიფიკაცია:</u>

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი/ PhD in Social Sciences

<u>პროგრამის მოცულობა კრედიტებით</u>

180 კრედიტი

<u>სწავლების ენა:</u>

ქართული, (ცალკეული კურსები შეიძლება იკითხებოდეს უცხო ენაზე)

<u>უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:</u>

დოქტორანტურა

<u>საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:</u>

აკადემიური/კვლევითი

<u>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:</u>

GIPA-ს სადოქტორო პროგრამა სოციალური მეცნიერებების სფეროში სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო კვლევების ერთობლიობაა, რომელიც მიზნად ისახავს მაღალკვალიფიციური მეცნიერ - სპეციალისტების და პედაგოგების მომზადებას უმაღლესი სასწავლებლებისათვის და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

პროგრამა მიზნად ისახავს:

- მეცნიერული კვლევისთვის საჭირო თანამედროვე მეთოდების ათვისებას
- უმაღლესი სკოლის პედაგოგიკისა და განათლების სისტემის მართვის მეთოდების შესწავლას
- კონკრეტული სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული დისციპლინების ღრმად შესწავლას
- სადისერტაციო ნაშრომის მომზადებას და საჯარო დაცვას
- ადგილობრივი სპეციალისტების საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო სივრცეში ჩართვის ხელშეწყობას.

დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების აუცილებელ მინიმალურ სტანდარტს აწესრიგებს დოქტორანტურის დებულება (იხ. დანართი 1) სადოქტორო პროგამების განხორციელების ”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად.

<u>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:</u>

GIPA-ს დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

<u>სწავლის შედეგები:</u>

სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორანტი წარმოადგენს პირს, რომელსაც შეუძლია მაღალკვალიფიციურად შეასრულოს სამეცნიერო თუ პედაგოგიური საქმიანობა. დამოუკიდებლად და სრულფასოვნად შეადგინოს სასწავლო პროგრამა და

წარუძღვეს ლექცია-სემინარებს, აწარმოოს სამეცნიერო კვლევა და წარმოადგენდეს დარგის ექსპერტს ან პრაქტიკოს სპეციალისტს სხვადასხვა სტრუქტურაში.

| | | |
|---|---|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** | დარგის/ქვედარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუა-ლებას იძლევა რეფერირებადი პუბლიკაციისთვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე | დოქტორს გააჩნია დარგში უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული სისტემური ცოდნა და ინოვაციური კვლევის მეთოდების გამოყენებით არსებული ცოდნის ფარგლების შესაძლო გაფართოების გაცნობიერების უნარი. |
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** | ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედვე-ლობა. ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდების და მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული. | სწავლისას მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე დოქტორმა უნდა შეძლოს ამ ცოდნის და ახლებური კვლევითი მიდგომების პრაქტიკაში გამოყენება/ დანერგვა. |
| **დასკვნის უნარი** | ახალი, რთული და ხშირად წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის განვითარების ხელშეწყობა. პრობლემის გადაჭრისთვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება. | დოქტორს შეუძლია სხვადასხვა ინოვაციური კვლევითი მეთოდების და მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული. დოქტორს შეუძლია პრობლემის გადაჭრისთვის ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება. შესაბამისი კვლევის შედეგები უნდა ქვეყნდებოდეს რეფერირებად საერთაშორისო ჟურნალებში. |
| **კომუნიკაციის უნარი** | ახალი ცოდნის არსებულთან ურთიერკავშირში დასაბუთებუ-ლად და გარკვევით წარმოჩენა. | დოქტორს შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით გადასცეს საკუთარი დასკვნები და არგუმენტები პრობლემის გადაწყვეტასთან მიმართებაში. დოქტორს შეუძლია საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში |

| | | |
|---|---|---|
| | | ჩართვა. |
| სწავლის უნარი | უახლეს მიღწევებზე დამყარე-ბული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის კვლევების პროცესში. | დოქტორს აქვს მზაობა უახლეს მეცნიერულ მიღწევებზე დაყრდნობით მუდმივად გაიფართოოს თავის ცოდნა და გამოიყენოს ეს მიღწევები სწავლებისა და კვლევის პროცესში. |
| ღირებულებები | ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება. | ეყრდნობა დემოკრატიულ ფასეულობებს. იცავს პროფესიონალური საქმიანობის ეთიკის ნორმებს. დოქტორი აწარმოებს ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევას. |

| | ცოდნა/გაცნობიერება | პრაქტიკაში გამოყენება | დასკვნის უნარი | კომუნიკაცია უნარი | სწავლის უნარი | ღირებულებები |
|---|---|---|---|---|---|---|
| სწავლების თანამედროვე მეთოდები | √ | √ | | √ | √ | √ |
| კვლევის მეთოდოლოგია | √ | √ | √ | | √ | |
| სადოქტორო ნაშრომი | √ | | √ | √ | √ | |
| | | | | | | |

<u>სავალდებულო კურსები</u>

- კვლევის მეთოდოლოგია
- სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგია

სასწავლო გეგმა:

| საგანი | საგნის სტატუსი | საკონტაქტო საათების რაოდენობა | კრედიტების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| კვლევის მეთოდოლოგია | ძირითადი | საკონტაქტო საათი 36 ინდივიდუალური მუშაობა 110 საათი | 6 |
| სწავლების თანამედროვე მეთოდები | ძირითადი | საკონტაქტო საათი 45 ინდივიდუალური მუშაობა 110 საათი | 7 |

| საგანი | საგნის სტატუსი | კრედიტების დაანგარიშება | კრედიტების რაოდენობა | კრედიტების განაწილება | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | სემესტრები | |
| | | | | გაზაფხული | შემოდგომა |
| კვლევის მეთოდები | ძირითადი | 39-110 | 6 | √ | |
| სწავლების თანამედროვე მეთოდები | ძირითადი | 48-110 | 7 | | √ |

<u>სადოქტორო პროგრამაზე დაშვება ხორციელდება შემდეგი პროცედურების დაცვით:</u>

დოქტორანტობის კანდიდატი წარმოადგენს განაცხადს და საჭიროების შემთხვევაში გადის გასაუბრებას მიმღებ კომისიასთან, რომელიც დადგენილია დაცვის საბჭოს მიერ.

განაცხადი უნდა შეიცავდეს:

ა) ავტობიოგრაფიას;

ბ) სამაგისტრო ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელ საბუთს;

გ) სადოქტორო ნაშრომის პროექტი (მაქსიმუმ 1000 სიტყვა);

დ) სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის (დოქტორის ხარისხის მატარებლი პირის) შუამდგომლობას.

დოქტურანტურაში ჩარიცხვიდან ორი თვის ვადაში დოქტორანტი, ხელმძღვანელთან შეთანხმებით წარმოადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელსაც ადასტურებს ან ჩაასწორებს დაცვის საბჭო და რომელშიც დგინდება:

ა) კვლევის ეტაპები

ბ) სავალდებულო საგნების სია

გ) პუბლიკაციები (თუ ასეთი არსებობს)

დ) პედაგოგიური და სამეცნიერო პრაქტიკის მიმართულებები

<u>პროგრამის კომპონენტები:</u>

GIPA-ს სადოქტორო პროგრამა შედგება 2 კომპონენტისგან: სასწავლო და კვლევითი.

**სასწავლო კომპონენტი** წარმოადგენს სასწავლო და კვლევითი ელემენტების ერთობლიობას, რაც დოქტორანტს ეხმარება სადისერტაციო ნაშრომის მომზადებაში.
**კვლევითი კომპონენტი** გულისხმობს უშუალოდ სადისერტაციო ნაშრომის შესრულებას.

<u>პროგრამის სტრუქტურა:</u>

დოქტორანტურა მოიცავს 180 კრედიტს. კრედიტები ნაწილდება შემდეგ ძირითად კატეგორიებად, სადაც კრედიტების მინიმალური რაოდენობის მოგროვება სავალდებულოა:

a. სალექციო კურსები/კონსულტაცია/სემინარები - 10-30 კრედიტი

სალექციო კურსების საგნები და მოცულობა დგინდება დოქტურანტის სასწავლო გეგმის ფარგლებში, ამავე დროს, დოქტურანტს ეძლევა შესაძლებლობა თვითონ გადაანაწილოს კრედიტების მოპოვების აქცენტი. პრიორიტეტულად ამ მიმართულებით დგინდება "კვლევითი მეთოდები" კონსულტაციები კვლევის საგანთან მიმართებაში.

b. სადოქტორო ნაშრომის პროსპექტუსი (დამტკიცების შემთხვევაში) - 15 კრედიტი

პირველი წლის ბოლოს საბჭოს განსახილველად წარედგინება სადოქტორო ნაშრომის დასაბუთებული მონახაზი, (მინიმუმ 5,000 სიტყვა) რომელშიც განისაზღვრება სადისერტაციო კვლევის პრობლემა, მისი მნიშვნელობა, ლიტერატურა და მასალა, რომელსაც ეყრდნობა კვლევა, კვლევის მეთოდი და საკითხის შესწავლის მოსალოდნელი შედეგები. სადოქტორო ნაშრომის დასაბუთებული მონახაზი ითვლება მიღებულად, და დოქტორანტს მიენიჭება შესაბამისი კრედიტები თუ საბჭოს 1/3 წევრებმა მას არ მისცემს უარყოფითი შეფასება.

c. სალექციო კურსების წაკითხვა – პედაგოგიური პრაქტიკა – 10-40 კრედიტი

სალექციო კრედიტები ჯამდება სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის თარიღიდან. სალექციო კურსის მომზადება-ჩატარება წარმოადგენს სადოქტორო პროგრამის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს, რადგანაც მომავალი დოქტორის ხარისხის მფლობელი მოიაზრება მაღალკვალიფიციურ პროფესორად და მოეთხოვება პედაგოგიური უნარების ცოდნა და ინტენსიური პრაქტიკა.

d. კონფერენციები, პუბლიკაციები და სხვა სახის სამეცნიერო აქტიურობა - 30-60 კრედიტი

სამეცნიერო პროცესში მონაწილეობა მომავალი დოქტორის ხარისხის მფლობელის ბუნებრივ მოვალეობას წარმოადგენს, შესაბამისად, სადოქტორო პროგრამის სტუდენტს ევალება ინტეგრირება მიმდინარე დარგობრივ დისკუსიაში და ამ მიმართულებით შესაბამისი უნარების გამოვლენა.

თითო სტატია რეფერირებად პერიოდულ გამოცემაში ფასდება 10 კრედიტად, იმ შემთხვევაში, თუ დისერტაციის ხელმძღვანელი მას დადებითად შეაფასებს.

e. სადოქტორო დისერტაცია - 100 კრედიტი

- ✓ შედგება მინიმუმ 50,000 სიტყვისგან, ბიბლიოგრაფიის, დანართებისა და რეცენზიების გარეშე
- ✓ მოიცავს: შესავალსა და დასკვნას (არა უმეტეს 1/3-სა)
- ✓ მოიცავს: კვლევით ნაწილს (არა ნაკლებ 2/3-სა)
- ✓ მოიცავს: სადისერტაციო ნაშრომის პრეზენტაციას, რომელსაც მოსდევს სამეცნიერო შეკითხვები, დებატი (დისერტაციის დაცვა)
- ✓ დისერტაცია განიხილება დაცვის საბჭოს სხდომაზე საჯაროდ. განხილვის შემდეგ ტარდება ფარული კენჭისყრა. დისერტაციის შეფასება განისაზღვრება შემფასებელთა დასკვნების საფუძველზე დაცვის დასრულებისთანავე

<u>შეფასების სისტემა:</u>

დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად მოქმედებს შეფასების შემდეგი სისტემა:

- ✓ ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი;
- ✓ ძალიან კარგი (*magna cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- ✓ კარგი (*cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- ✓ საშუალო (*bene*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- ✓ დამაკმაყოფილებელი (*rite*) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- ✓ არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- ✓ სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

დისერტაცია ითვლება დაცულად, თუკი მას დადებითი ხმა მისცა სამეცნიერო საბჭოს 2/3, ხოლო დაცული დისერტაციის შეფასება (”ფრიადი”, ”ძალიან კარგი”, ”კარგი”, ”საშუალო” ან ”დამაკმაყოფილებელი”) განისაზღვრება დადებითი ხმების უმრავლესობიდან გამომდინარე. არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება; ხოლო სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღებისას დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

<u>ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური  რესურსების შესახებ:</u>

1. სადისერტაციო საბჭო არის (იგივე სამეცნიერო საბჭო) და აირჩევა რექტორატის მიერ ინსტიტუტის სკოლების აკადემიური საბჭოების წარმომადგენლებისგან.
2. სადისერტაციო საბჭოს მუშაობას უძღვება საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც არის ინსტიტუტის რექტორი საჭიროების შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო იწვევს ექსპერტებს (დოქტორის ხარისხის მატარებელს) სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან კონკრეტული ექსპერტიზის განსახორციელებლად.

მისამართი: თბილისი, 0108; მაჩი ბიოსეს #2
ტელ: /+995 32/ 2931466, 2934346
ფაქსი: /+995 32/ 2931466

GIPA

w w w. g i p a. e d u. g e